ვერსია

№34 (1624) 31 აგვისტო — 6 სექტემბერი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

საქართველო ევროგადახდის ერთიან სივრცეს შეუერთდება

ირაკლი ღარიბაშვილი: „ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს, რაც უპრეცედენტოა მთელ მსოფლიოში!“

„რუსეთს აღარ აქვს იმის ძალა, რომ მასშტაბური შეტევები განახორციელოს“

რუსეთ-უკრაინის ექვსთვიანი ომის შეფასება ქართველი ანალიტიკოსისგან

იაგო ხვიჩია: „ოპოზიციას ნერვებს ვუშლით და არ ვუყვარვართ!“

„ერთადერთი, თუ ვინმეს იმედი მაქვს სამყაროში, აშშ-ია!“

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

წმინდა რუსული მკვლელობა

როგორ გეგმავს რუსული სპეცსამსახური არასასურველი ადამიანების მკვლელობებს

წმინდა რუსული მკვლელობა

ივანო პავლიაშვილი

როგორ გეგმავს რუსული სპეცსამსახური არასასურველი ადამიანების მკვლელობებს

ეს სტატია ზუსტად 14 წლის წინ დავწერე – აგვისტოს ომის დღეებში. მაშინ რუსული ინტერვენცია ძალიან აქტუალური იყო, თუმცა ჩრდილოეთური საფრთხე არც ახლაა მინავლებული. შესაბამისად, არქივიდან 14 წლის წინანდელი წერილის გამოქვეყნებას უპრიანად ვთვლი. სხვათა შორის, ადამიანი, რომელიც სტატიის ერთ-ერთი მთავარი გმირია, 13 წლის წინ გარდაიცვალა. დათო ჭეიშვილი ჩემი მეგობარი და ქართულ პოლიტიკაში ბევრის მნახველი იყო... ხშირად მიფიქრია: დათო ცოცხალი რომ იყოს, გაძლიერებულ რუსულ შემოტევებს, ნეტავ, როგორ გაუმკლავდებოდა, ან უკრაინის ამბებზე რას იტყოდა-მეთქი? ამ კითხვაზე პასუხს ვერასოდეს მივიღებ... იმედია, ის დროც დადგება, როცა ჩრდილოეთური დათვი ჩვენს გადაყლაპვას აღარ შეეცდება... დღევანდელი რეალობა კი ისეთია, როგორიც არის – საქართველოში, 21-ე საუკუნეშიც არიან პუტინელები, რომლებიც თვლიან, რომ რუსეთი უფროსი ძმაა და „ბაბაია“ უნდა დავუძახოთ. არადა, ამ „უფროსმა ძმამ“ ჩვენი ძალიან კარგი თანამემამულე შეიწირა... ეს სტატია გია ჭანტურიას მკვლელობაზეა...

* * *

1959 წლის 19 აგვისტო... ფერისცვალება... ბიჭის დაბადება ჭანტურიების ოჯახის ნათესავებისა და მეზობლების მეტს არავის გაუგია, თუმცა მოვა დრო და ამ ბიჭზე მთელი ქვეყანა ილაპარაკებს. მანამდე? მანამდე კი... ბავშვის ჩვეულებრივი ცხოვრება – სწავლა, თამაში, გართობა... განსაკურებით დათოსთან მეგობრობს, ჭეიშვილთან. მათი მშობლებიც მეგობრები არიან... ბიჭების საყვარელი თამაში „ომობანაა“ – წყალქევშა ჯარისკაცებს „აკეთებენ“, ერთმენეთის პირისპირ აწყობენ და „ხოცავენ“...

წარჩინებული და ჭკვიანი მოწაფე ყოფილა, მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში, სკოლის დამთავრების პირველსავე წელს ვერ ჩაუბარებია და აი, რატომ: ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე, თავისუფალი თემა – „ვინ მინდა გამოვიდე“ შეხვედრია. დაუწერია, არქეოლოგობა მინდაო. ნაშრომში შლიმანიც მოუხსენიებია, „ტროას ცხენის“ აღმომჩენი. თავიდან „ორიანი“ დაუწერიათ, მერე, რომ გაუპროტესტებია, „ოთხიანად“ გადაუკეთებიათ, აქაოდა, ფაქტობრივი შეცდომები გაქვსო. ისე, გამომცდელებს უთქვამთ, უმაღლესი შეფასება რომ დაგიწეროთ, სამსახურიდან დაგვითხოვენო. შეიძლება, მართლა ასე მომხდარიყო, რადგან იმ დროს გია ჭანტურია უკვე ეროვნული მოძრაობის წევრი გახლდათ. მეორე კურსზე რომ გადავიდა, დააპატიმრეს. დათო ჭეიშვილიც დაიჭირეს, მაშინ დათო პირველ კურსზე იყო...

მას შემდეგ, წითელ იდეოლოგებს ბიჭებისთვის თვალი არ მოუცილებიათ... მეტიც, გიას მეგობრებს დღემდე სჯერათ, რომ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ლიდერი, სწორედ წითელი ინტერვენციის მსხვერპლი გახდა.

მართალია, გია ჭანტურიას მკვლელობისთვის, თავის დროზე, რამდენიმე ადამიანი გაასამართლეს, მაგრამ საზოგადოებაში დღემდე არსებობს ეჭვი, რომ ისინი ნამდვილი დამნაშავეები არ იყვნენ, უფრო სწორად, შემსრულებლები დაისაჯნენ, მკვლელობის შემკვეთები – არა.

და მაინც, რა მოხდა 1994 წლის 3 დეკემბერს, ხილიანზე? იყო თუ არა გია ჭანტურიასთვის 1991-92 წლების მოვლენების ანუ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულ ედუარდ შევარდნაძის გვერდით დადგომა საბედისწერო შეცდომა? – ჭანტურიას მკვლელობის საქმეში მხოლოდ ეს კი არა, სხვა, მეტ-ნაკლებად უპასუხი კითხვებიც არსებობს...

ყველა, ვინც გია ჭანტურიას პირადად იცნობდა, ამბობს, რომ ედპ-ს 35 წლის ასაკში მოკლული ლიდერი დასავლური ყაიდის პოლიტიკოსი იყო, პოლიტიკაში „ბინძურ თამაშებს“ ეწინააღმდეგებოდა და პირდაპირობას არჩევდა. ეს შეფასება, შესაძლოა, გადაჭარბებულია, მაგრამ გია ჭანტურია რომ ქართულ პოლიტიკაში თავისი თამაშის წესების დამკვიდრებას ცდილობდა, ამას რამდენიმე ისტორიაც მოწმობს:

მეოცე საუკუნის 80-იანი წლების მიჯნაზე ანუ მას შემდეგ, როცა საბჭოთა სპეცსამსახურებმა „ცისფერ ეკრანებზე“ ზვიად გამსახურდიას ე.წ. მონანიება გაავრცელეს, ედპ-ს ჯგუფი, რომელიც იმხანად მხოლოდ ახალგაზრდების იატაკქვეშა, ასე ვთქვათ, კლუბი იყო, ნუცუბიძის ქუჩაზე, ლიზიკო ქავთარაძის სახლში შეიკრიბა და გადაწყვიტეს, ზვიად გამსახურდიასთან ურთიერთობა გაეწყვიტათ. სხვათა შორის, ძველი „ედეპელები“ ლიზიკო ქავთარაძეს დღემდე თავიანთ პედაგოგად თვლიან... ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, 80-იან წლებში ანუ მაშინ, როცა ეროვნულმა მოძრაობამ პიკს მიაღწია და ზვიად გამსახურდია, პრინციპში, უპირობო ლიდერი გახდა, გია ჭანტურია მას შეურიგდა. ჭანტურიას ზოგიერთი მეგობარი, მათ შორის, დათო ჭეიშვილიც მიიჩნევს, რომ ეს შეცდომა იყო, თუმცა პოლიტიკას თავისი წესები აქვს. ეს, როგორც ჩანს, ჭანტურიამაც კარგად იცოდა და ხვდებოდა, რომ ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირების გამო, ხალხი ზურგს შეაქცევდა. საბოლოოდ, ჭანტურიასა და გამსახურდიას გზები მაინც გაიაყარა. მეტიც, 1991 წელს, როცა თბილისის ომისა და გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის კონტურები უკვე გამოკვეთილი იყო, თბილისის აეროპორტში, იმჟამინდელი ხელისუფლების ბრძანებით, თვითმფრინავი, რომელიც მოსკოვში მიფრინავდა, „ჰაერიდან მოხსნეს“. თვითმფრინავში გია ჭანტურია და მისი მეუღლე, ირინა სარიშვილი ისხდნენ. იმხანად ითქვა, რომ ისინი საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრთან, ედუარდ შევარდნაძესთან შესახვედრად მიდიოდნენ, თუმცა დათო ჭეიშვილი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს:

„მაშინ ყველა თვითმფრინავი ევროპაში მოსკოვის გავლით მიფრინავდა, თან გიას გარდა, თვითმფრინავში 150 კაცი იჯდა, მათ შორის, გოგა ხაინდრავაც. დანამდვილებით ვიცი, რომ გია შევარდნაძეს არ უნდა შეხვედროდა!"

კარგი, დავუშვათ, რომ ჭანტურია იმხანად მართლა არ აპირებდა შევარდნაძესთან შეხვედრას, მაგრამ მათი გზები მაინც გადაიკვეთა, თან ისე, რომ გია ჭანტურიას მკვლელობასთან ექსპრეზიდენტს, პირდაპირ თუ ირიბად, აკავშირებენ. ყოველ შემთხვევაში, ჭანტურიას დაკრძალვაზე მისულ შევარდნაძეს ედპ-ს აქტივისტებმა სიტყვა არ მისცეს და მას მკვლელობის თანამონაწილე უწოდეს. ამ ბრალდებამდე კი მოვლენები ასე ვითარდებოდა:

1992 წლის 7 მარტს, საქართველოში დაბრუნებულმა ედუარდ შევარდნაძემ კარგად იცის, რომ ჯაბა იოსელიანის „მხედრიონითა“ და თენგიზ კიტოვანის გვარდიით თავისი პოლიტიკური კარიერა, შესაძლოა, სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენოს ანუ მას პოლიტიკური დასაყრდენი სჭირდება, რითაც ცივილიზებულ დასავლეთს თვალს აუხვევს და დაუმტკიცებს, რომ „კანონიერ ქურდად“ მონათლული ჯაბა იოსელიანი ზვიადისტების დასაშოშმინებლად სჭირდება, თორემ მისი საყრდენი, სინამდვილეში, დასავლური ორიენტაციის ძალაა. იმჟამინდელი პოლიტიკური სპექტრი ასეთი და, საერთოდ, პოლიტიკური ძალების სერიოზულ დეფიციტს განიცდიდა და ამ ფონზე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, უფრო ზუსტად, გია ჭანტურია შევარდნაძეს შეუმჩნეველი არ დარჩენია.

ვინ ითავა გია ჭანტურიასა და ედუარდ შევარდნაძეს შორის შუამავლის ფუნქცია? ეს გარდაცვლილი პოლიტიკოსის უახლოესმა მეგობრებმაც არ იციან, თუმცა აღიარებენ, როცა გიამ გვითხრა, შევარდნაძესთან გარკვეულ ურთიერთობას ვიწყებთო, გაგვიკვირდა.

დათო ჭეიშვილი, გია ჭანტურიას მეგობარი: „გია პოლიტიკოსი იყო და ლავირება შეეძლო. მაგალითად, მონანიების შემდეგ, სპეცსამსახურებმა ისეთი სიტუაცია შექმნეს, რომ გამსაუხრდია ციხიდან გმირის სტატუსით დაბრუნდა და გია მიხვდა, რომ მასთან ბრძოლა თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა.

– ანუ, ედუარდ შევარდნაძის გვერდითაც იმიტომ დადგა, რომ „პოლიტიკური თვითმკვლელობა“ არ უნდოდა?

– შევარდნაძე გიას იყენებდა.

– რაში?

– შევარდნაძე ცდილობდა, რომ გია, როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ეროვბულობის თვალსაზრისით გამოეყენებინა და ეს მოახერხა კიდეც“.

დასასრული მე-3 გვერდზე

წმინდა რუსული მკვლელობა

მე-2 გვერდიდან

აი, ასე: შეიძლება, ითქვას, რომ ჭანტურიასა და შევარდნაძის ურთიერთობა თავდაპირველად ურთიერთგამოყენებაზე იყო აწყობილი ანუ თუ შევარდნაძე ჭანტურიას ე.წ. ეროვნულ პოტენციალს იყენებდა, ჭანტურია, თავის მხრივ, ცდილობდა, შევარდნაძესთან ურთიერთობით, სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე გარკვეული პოლიტიკური გავლენა მოეხდინა. ალბათ, სწორედ ამიტომ დათანხმდა, რომ ირინა სარიშვილი პრემიერ-მინისტრი გამხდარიყო. შევარდნაძის მთავრობაში ედპ-ს კიდევ ორი წევრი იყო – მიხეილ ჯიბუტი და ბესო ჯუღელი. ირაკლი ქადაგიშვილი კი საბაჟოს ხელმძღვანელობდა.

დათო ჭეიშვილი: „გიამ ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ როგორც პოლიტიკოსი, მოვლენებს ვერ მიუშვებდა. შევარდნაძესთან ურთიერთობით, გიამ გარისკა!“

გია ჭანტურიას ეს გარისკვა სიცოცხლის ფასად დაუჯდა...

ედუარდ შევარდნაძისა და ედპ-ს ლიდერის ურთიერთობა, შეიძლება, ეტაპობრივად იძაბებოდა, მაგრამ დაპირისპირებამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა შევარდნაძემ საქართველოს დსთ-ში შესვლის გადაწყვეტილება მიიღო. ედპ-ს სიით გასულმა დეპუტატებმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს და პროტესტის ნიშნად, სხდომა დატოვეს. მეტიც, გია ჭანტურიას გადაწყვეტილებით, ედპ-ს ყველა წევრმა მთავრობა დატოვა. ეს დემარში ედუარდ შევარდნაძისთვის, როგორც ჩანს, შოკისმომგვრელი იყო. ყოველ შემთხვევაში, უთქვამს, ასეთი დისციპლინა, როგორიც ედპ-შია, კომუნისტებსაც არ ჰქონიათო...

ცდილობდა თუ არა გია ჭანტურია ედუარდ შევარდნაძესთან ურთიერთობით ხელისუფლებაში მოსვლას? ყველა პოლიტიკოსის მიზანი, ცხადია, ხელისუფლებაში მოსვლაა. ეს მიზანი, ბუნებრივია, გია ჭანტურიასაც ექნებოდა, მით უმეტეს, დასავლეთი მასზე გარკვეულ „სტავკას“ აკეთებდა:

1990 წელს პრაღაში, ვაცლავ ჰაველის ინიციატივით, ყოფილი საბჭოთა ქვეყნების დისიდენტთა შეკრება ტარდება, რომელსაც საქართველოდან გია ჭანტურია, ედუარდ და თენგიზ გუდავები და დათო ჭეიშვილი ესწრებიან.

პრაღის შემდეგ, გია ჭანტურია და ედპ-ს დელეგაცია ბრიუსელში ჩადის და შეხვედრებს ნატო-ში მართავს. ნატო-ს შტაბ-ბინაში, ეს ქართველების პირველი ვიზიტია...

დათო ჭეიშვილი: „ნატო-ში მიწვევით, გიამ საქართველოს ევროპისკენ პირველი ფანჯარა გახსნა. მას უყურებდნენ, როგორც დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსს“.

იმხანად, ედპ ევროპის ქრისტიან-დემოკრატიული ინტერნაციონალის წევრი გახდა. ეს ორგანიზაცია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინამორბედად ითვლება...

საქართველოში დაბრუნებული ედუარდ შევარდნაძეც ევროპულ ფასეულობებს მხარს ღიად უჭერს ანუ ამ ფონზე, ძნელი სათქმელია, რომ გია ჭანტურიას ლიკვიდაცია სახელისუფლებო ელიტის ინტერესებში შედიოდა, თუმცა დათო ჭეიშვილი, გია ჭანტურიას მკვლელობიდან 14 წლის შემდეგ, აცხადებს:

„გიას სიკვდილი სახელისუფლებო ელიტის იმ ნაწილის ინტერესში შედიოდა, რომლისთვისაც დასავლური ღირებულებები მიუღებელი იყო!“

ჭეიშვილის თქმითვე, სახელისუფლებო ელიტის ამ ნაწილისა და კრემლის ინტერესები ერთმანეთს რომ არ დამთხვეოდა, დღის წესრიგში ჭანტურიას ლიკვიდაცია, შესაძლოა, არ დამდგარიყო.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: სწორედ მაშინ, როცა გია ჭანტურია ედუარდ შევარდნაძეს გაემიჯნა და საჯაროდ ქვეყნის ღალატში დაადანაშაულა, პოლიტიკურ არენაზე უკვე გამოსული იყო „მწვანეთა პარტიის“ იმჟამინდელი ლიდერი, ზურაბ ჟვანია, რომელზეც 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში, შევარდნაძემ ფსონი დადო. ჭანტურიას მსგავსად, ჟვანიაც მკვეთრად დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსი იყო და, ჭანტურიას მსგავსად, მანაც სიცოცხლე და კარიერა ფატალურად დაასრულა, თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა...



მკვლელობის მიზეზი – პირადი ანგარიშსწორება?

ამ ვერსიას არსებობის უფლება, რასაკვირველია, აქვს და აი, რატომ: გია ჭანტურია საჯაროდ მოღალატეს მხოლოდ ედუარდ შევარდნაძეს კი არა, ჯაბა იოსელიანსა და თენგიზ კიტოვანსაც ეძახდა ანუ თუ გავითვალისწინებთ, რომ იმხანად საქართველოში სრული განუკითხაობა იყო, რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ჭანტურიას ლიკვიდაციას საფუძვლად, სწორედ პირადი ანგარიშსწორება დაედო, თუმცა დათო ჭეიშვილი ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ ედპ-ს ლიდერის მკვლელობა, პოსტსაბჭოთა საქართველოში პირველი პოლიტიკური მკვლელობა იყო.

გია ჭანტურია 1994 წლის 3 დეკემბერს, ედპ-ს ყრილობის მესამე დღეს მოკლეს. იმხანად ითქვა, რომ ყრილობაზე ჭანტურია „რაღაცის“ თქმას აპირებდა. რა იყო ეს „რაღაც“, არავინ იცის... ისე, თუ ჭანტურიამ „რაღაც ისეთი“ იცოდა, მაგალითად, ის, თუ ვინ და რით აიძულა ედუარდ შევარდნაძე, საქართველო დსთ-ში შეეყვანა, მის გასაჩუმებლად მაინცდამაინც სიკვდილი იყო საჭირო? „გაჩუმების“ სხვა მეთოდებიც არსებობს, მაგალითად, ციხე.

დათო ჭეიშვილი: „გიას ვერ დაიჭერდნენ, ან როგორ უნდა დაეჭირათ? უსუფთავესი პიროვნება იყო...

– კი, მაგრამ ამბობენ, პოლიტიკა ბინძურიაო...

– „პოლიტიკა ბინძური არ არის, პოლიტიკა ბინძური მაშინ ხდება, როცა მას ბინძური ხალხი აკეთებს“, – ამ ფრაზას გია ხშირად ამბობდა“.

ასე იყო თუ ისე, გია ჭანტურია ბინძური პოლიტიკის მსხვერპლი გახდა და ამას მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე განვითარებული მოვლენებიც ადასტურებს.

საინტერესო დეტალი: იმჟამინდელი ორი ძალოვანი მინისტრი, როგორც დრომ აჩვენა, კრემლის კადრი იყო – შოთა კვირაია, რომელსაც შს და უშიშროების მინისტრის პოსტები ეკავა, საქართველოს ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, დსთ-ს ქვეყნების უშიშროების საბჭოს მდივნად დაინიშნა. იგორ გიორგაძე კი დღემდე, საქართველოს წინააღმდეგ, კრემლის მთავარი კოზირია.

ამ ფონზე, შეიძლება, ითქვას, რომ გია ჭანტურია რუსული ინტერვენციის მსხვერპლი გახდა...

მოკლედ, მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, შს იმჟამინდელი მინისტრი, კვირაია გია ჭანტურიას ატყობინებს, რომ ედპ-ს ოფისში მოსასმენი აპარატურაა დამონტაჟებული. ასევე, კეთდება მინიშნება, რომ „ჟუჩოკი“ იგორ გიორგაძემ დაამონტაჟა. ჭანტურია საგანგებო ბრიფინგს იწვევს და ჟურნალისტებს უცხადებს, რომ მისი ლიკვიდაცია იგეგმება. ასეთი განცხადებები, როგორც წესი, ლიკვიდაციის პრევენციაა, მაგრამ ჭანტურიას მაინც კლავენ...

მკვლელობამდე ორი-სამი დღით ადრე, ედუარდ შევარდნაძე ჭანტურიას ხვდება და ეუბნება, თურქმენეთში მივდივარ და იქიდან რომ დავბრუნდები, ქვეყანა შენ უნდა გადმოგაბაროო. თურქმენეთიდან დაბრუნებულ შევარდნაძეს ჭანტურია მოკლული ხვდება...

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: მოსალოდნელი ლიკვიდაციის შესახებ განცხადების გაკეთების პარალელურად, ედპ ითხოვს, რომ ჭანტურიას სახელმწიფო დაცვა დაენიშნოს, მაგრამ მოთხოვნა არ კმაყოფილდება. მოტივი – ლიკვიდაციაზე ლაპარაკი გაზვიადებულიაო...

ვინ და რა სარგებელი მიიღო ჭანტურიას მკვლელობით?

დათო ჭეიშვილი: „საერთოდ, მკვლელობით რამის მიღება არ შეიძლება, მაგრამ გიას მოკვლით იმას მიაღწიეს, რომ კარგა ხნით გადაიდო საქართველოს ინტეგრაცია ევროპაში. ჭანტურიას მოკვლა საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის 15-წლიან პაუზად, ტერიტოროების დაკარგვად და დღევანდელ მოვლენებად დაუჯდა“.

ერთი სიტყვით, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და დასავლური ღირებულებების პოლიტიკოსი, გია ჭანტურია რუსული ინტერვენციის მსხვერპლი გახდა.

რუსული ინტერვენცია დღესაც გრძელდება...

სხვათა შორის, სიმბოლურია, რომ გია ჭანტურიას მკვლელობიდან ზუსტად 14 წლის შემდეგ, საქართველომ დსთ დატოვა...

ცნობისთვის: გია ჭანტურიას, როგორც გამოძიებით დადგინდა, რამდენიმე სნაიპერი ესროდა. 300 ტყვიიდან ჭანტურიას, მინიმუმ, 150 მოხვდა. ძაფებად ქცეულ ტანსაცმელს გიას დედა, ქალბატონი ლილი მარჯანიშვილი გარდაცვალებამდე ინახავდა...

თათია გოჩაძე
598-43-50-34

იაგო ხვიჩია: „ოპოზიციას ნერვებს ვუშლით და არ ვუყვარვართ!“

„ერთადერთი, თუ ვინმეს იმედი მაქვს სამყაროში, აშშ-ია!“

„გირჩის“ ლიდერის, იაგო ხვიჩიას ფრაზა – „ჩემი პატრიარქი არის ამერიკის ელჩი“, მეტად აქტუალური და განსჯის საგანია. ალბათ, იმიტომ, რომ აშშ-ის ელჩის მიმართ გამოთქმული, რბილად რომ ვთქვათ, „მკვახე“ განცხადებები, ბოლო დროს, ერთგვარ ტრენდად იქცა მმართველი პარტიიდან წასული დეპუტატების მხრიდან. თუმცა, ალბათ, ცოტამ თუ იცის, რომ როდესაც იაგო ხვიჩია აშშ-ის ელჩს თავის „პატრიარქად ასახელებლდა“, მაშინ სახელისუფლებო ძალას კი არა, ოპოზიციას აკრიტიკებდა, რომელთა მხრიდანაც, აშშ-ის ელჩის მიმართ მწვავე განცხადებებს აპროტესტებდა... „ვერსია“ იაგო ხვიჩიასთან ინტერვიუს გთავაზობთ:

– დავიწყებ იმით, რომ ეს ფრაზა, ოპოზიციის გასაკრიტიკებლად, წელიწადნახევრის წინ ვთქვი, როცა ოპოზიციის წარმომადგენლებმა – ნიკა გვარამიამ და ნიკა მელიამ აშშ-ის ელჩი გალანძღეს. ავხსენი, რომ ეს, დაახლოებით, ისეთი შეურაცხყოფაა საქართველოში იმ ხალხისთვის, რომლებსაც აშშ-ის გვჯერა, როგორც – მორწმუნესთვის პატრიარქის შეურაცხყოფა. მართლა, ერთადერთი, თუ ვინმეს იმედი მაქვს სამყაროში, აშშ-ია, რომელიც ყველაზე ერთგული და ძლიერი მოკავშირეა და მისი წარმომადგენლის ლანძღვა არაფერში წერია. მაშინ ხელისუფლების წარმომადგენლებიც ჩემს პოზიციაზე იყვნენ, უბრალოდ, ახლა, როცა ანტიამერიკული კამპანია დაიწყო, „გაშავება“ დაიწყეს.

მადლობელი ვარ, რადგან როგორც ჩანს, რაც ვთქვი, თავის დროზე, აშშ-ის საელჩოსაც არ გაუგია. მოგეხსენებათ, ოპოზიცია მაშინ აშშ-ის საელჩოში იკრიბებოდა, ჩვენ კი არ გვეძახდნენ და იმედია, ამის მერე მაინც რთული იქნება ჩვენი „მოტეხვა“ ასეთი სიტუაციებიდან.

– იაგო, როგორ აფასებთ „ოცნებიდან“ წასული დეპუტატების მიერ, აშშ-ის ელჩის მიმართ გაკეთებულ განცხადებებს, რას ემსახურება და რა შედეგი შეიძლება, გამოიღოს?

– ვინაიდან მოტივი არ ვიცი, რას შეიძლება ემსახურებოდეს ეს კამპანია, კომენტარს ვერ ვაკეთებ. ძალიან მარტივია, ვთქვა, ეტყობა, რუსეთისკენ გადავიდნენ ესენი-მეთქი, მაგრამ ვინაიდან ამის მოტივს ვერ ვხვდები, უბრალოდ, არ მესმის, რა თამაშია. ყურადღებით ვაკვირდები და მაინტერესებს, სადამდე გაგრძელდება ეს ისტერიკა.

– გასაგებია... თქვენ იმ სამუშაო ჯგუფის წევრი ხართ, რომელიც პარლამენტში არაერთ საკითხზე მუშაობს. ხელისუფლებასთან ერთად, რა საკითხებზე მსჯელობთ და რაზე მიაღწიეთ კონსენსუსს?

– ახლა მუშაობის პროცესი არ მიმდინარეობს, ჩემი აზრით, ეს ბუტაფორიაა და მიზანია, რომ შეთანხმება არაფერზე მოხდეს. შესაბამისად, ვერ გეტყვით, რომ რამეზე ვმუშაობთ, უბრალოდ, ვაკვირდები პროცესს და საზოგადოებას ვეტყვი სიმართლეს ამ პროცესზე.

– რაც შეეხება პარლამენტში შექმნილ მეორე ჯგუფს, რომელიც ოპოზიციამ დააკომპლექტა, მასშიც მონაწილეობთ?

– არა... ის ჯგუფი, ჩემი აზრით, ხელისუფლების დახმარებით, სპეციალურად შეიქმნა, რომ ეს ძირითადი პროცესი ჩაშლილიყო, ოღონდ ხელისუფლებას კი არა, ოპოზიციას დაბრალებოდა. აქედან გამომდინარე, ჩემი კოლეგები, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელისუფლების თამაშში აღმოჩნდნენ ჩათრეულნი და დღემდე არ გამოდიან.

– სექტემბრიდან, პარლამენტში აქტიური მუშაობა უნდა დაიწყოს და გარკვეული პარტიები ისევ ბოიკოტის თემას ააქტიურებენ. ამაზე რას იტყვით?

– ბოიკოტზე საუბარი სულ არასერიოზული იყო და ახლა განსაკუთრებით იმიტომ, რომ არასდროს იყო მკაფიო დასაბუთება და არასდროს იყო ამისთვის მომზადებული ოპოზიცია. არც იცოდა, რა უნდოდა, როგორ უნდა მიეღწია ვადამდელი არჩევნებისთვის...

– თქვენი ხედვით, როგორია სწორი სტრატეგია, რომელსაც ოპოზიცია უნდა გაჰყვეს მიზნის მისაღწევად?

– ოპოზიციამ უნდა მოიფიქროს, რა უნდა და როგორ წარმოუდგენია ამ ქვეყნის მომავალი „ქართული ოცნების“ გარეშე.

– ხშირად ამბობთ, ოპოზიცია ერთადაც კი ვერ ვსხდებით მოსალაპარაკებლად და რა საერთო სტრატეგიაზეა საუბარიო... ახლა არ არის მცდელობა, რომ პროდასავლური პარტიები საერთო სტრატეგიაზე შეჯერდეთ, ან თქვენ რატომ არ იჩენთ ამის ინიციატივას?

– ჩვენ ვართ ინიციატორი, ყველას ველაპარაკებით და მერე, როცა საქმე საქმეზე მიდგება, საკითხს პირდაპირ დავაყენებთ, ხდება ახალი „ჩატების“ გაკეთება, ჩვენი არდაპატიჟება შეხვედრებზე... ეს პროცესი გავლილი გვაქვს და ჩვენი კოლეგების დიდ ნაწილს ვუყურებთ, როგორც არასერიოზულ ხალხს.

– ასე რატომ გექცევიან?

– ვერ გეტყვით. შეიძლება, ეს იყოს შეთანხმება „ქართულ ოცნებასთან“, შეიძლება, თავისი სისულელით მოსდიოდეთ...

– შეიძლება, ამის მიზეზი ის იყოს, რომ თქვენ ღიად საუბრობთ ყველა საკითხზე მედიასთან?

– არ მგონია იმიტომ, რომ კარგად იციან, ჩვენ არასდროს ვსაუბრობთ იმაზე, რაზეც საჯაროდ საუბარი არ შეიძლება.

– ფიქრობთ, რომ შემოდგომაზე, საქართველოში, მასშტაბური აქციები დაიწყება? თქვენი ექსთანაგუნდელის, ზურა ჯაფარიძის განცხადებებს როგორ აფასებთ, რომელიც რევოლუციასა და საპროტესტო აქციების აუცილებლობაზე საუბრობს?

– თუ ამას დაგეგმილად აკეთებ და იცი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შენს ქმედებასა და იმას შორის, რაც გინდა, შეიძლება ჰქონდეს აზრი, მაგრამ მოუმზადებლად... ის, რომ უბრალოდ დავიწყებ აქციებს და ხელისუფლებას დავამხობ, ეგეთი აქციების მეტი რა გვინახავს...

– ოპოზიციამ საპროტესტო აქციები რომ დაგეგმოს, მიიღებთ მონაწილეობას?

– ჯერ დაგეგმონ და მერე დავაკვირდებით...

– დაგეგმილ აქციებში ჩაერთვებით თუ არა?

– ეს ხომ არასერიოზული შეკითხვაა?!..

– რატომაა არასერიოზული? – მახსოვს აქციები, რომლებზეც არ მიხვედით, მაგალითად, ივლისში გამართულ მასშტაბურ აქციებზე...

– მასეთ აქციებზე ახლაც არ მივალთ. ჩვენ ხომ არ შევცვლილვართ? – იგივე ხალხი ვართ, რაც ვიყავით. ამიტომ, არასერიოზულ აქციებს აქამდე თუ არ ვუერთდებოდით, მომავალშიც არ ვიზამთ ამას და მით უმეტეს ახლა, როცა ჩვენ იქ, საერთოდ არ გველოდებიან...

– რატომ არ გელოდებიან?

– არ ვუყვარვართ...

– ვის არ უყვარხართ?

– ოპოზიციას, ნერვებს ვუშლით და არ ვუყვარვართ.

– მართლა ეგ განცდა გაქვთ? ოპოზიციაში ნაციონალურ მოძრაობას გულისხმობთ?

– ზოგადად, კრებსითი სახელწოდება ნაციონალური მოძრაობა გამოდის იქიდან გამომდინარე, რომ როცა აყოლილი არიან ერთმანეთზე და ყველაზე დიდი პარტია ნაციონალური მოძრაობაა, როცა იზიარებ და მიჰყვები მას... ვინ რომელ პარტიაშია, მაგას ხომ არ აქვს მნიშვნელობა? – ვინ რას აკეთებს, ესაა მნიშვნელოვანი.

– თუ სააკაშვილი წავა პოლიტიკიდან და ენმ დაიშლება ანუ იმ სახით აღარ იარსებებს, როგორც ახლაა, როგორი პროცესი დაიწყება ქართულ ოპოზიციურ სპექტრში? მახსოვს, არაერთხელ განგიცხადებიათ, რომ ხელისუფლების დასამარცხებლად, საჭიროა ენმ დაიშალოსო...

– სააკაშვილის წასვლით, „მტრის ხატი“ გამოეცლება „ქართულ ოცნებას“... რაც შეეხება პარტიის დაშლას, თუ სააკაშვილი წავა პოლიტიკიდან, ჩემი აზრით, ეს პროცესი ასე თუ ისე დაიწყება და თუ დაშლა არა, მინიმუმ, დიდი ტრანსფორმაცია მაინც არის მოსალოდნელი ამ პარტიაში.

„რუსეთს აღარ აქვს იმის ძალა, რომ მასშტაბური შეტევები განახორციელოს“

რუსეთ-უკრაინის ექვსთვიანი ომის შეფასება ქართველი ანალიტიკოსისგან

თათია გოჩაძე
598-43-50-34

29 აგვისტოს, უკრაინის თავდაცვის ძალებმა სამხრეთით, სხვადასხვა მიმართულებით დაიწყეს შეტევა – ეს ინფორმაცია არმიის პრესცენტრის წარმომადგენელმა გაავრცელა და აღნიშნა: „კონტრშეტევა, უკვე დიდი ხანია, მიმდინარეობს – ეს არის მტრის შევიწროება და მისთვის წინსვლის შესაძლებლობის არმიცემა. დღეს კი ჩვენ დავიწყეთ შეტევითი მოქმედებები, მათ შორის, ხერსონის ოლქში“. უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ხერსონის მისადგომებთან გაარღვიეს რუსეთის არმიის თავდაცვის პირველი ხაზი – ინფორმაციას „რადიო თავისუფლებასთან“ ადასტურებს უკრაინის თავდაცვის ძალების პრესცენტრის ხელმძღვანელი. უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ, 29 აგვისტოს განაცხადა, რომ უკრაინის დამცველები ოკუპანტებს უკრაინის საზღვრამდე განდევნიან. „წადით შინ!“– მიმართა ზელენსკიმ რუსეთის არმიას... „ვინც არ მომისმენს, მას საქმე ექნება ჩვენს დამცველებთან, რომლებიც არ გაჩერდებიან, სანამ არ გაათავისუფლებენ ყველაფერს, რაც უკრაინას ეკუთვნის“.

ზელენსკის თქმით, ომი დაიწყო ყირიმისა და დონბასის ოკუპაციით და დასრულდება მათი განთავისუფლებით.

რუსეთ-უკრაინის ექვსთვიან ომზე „ვერსია“ სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორ ირაკლი ალადაშვილს ესაუბრა:

– უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის შეჭრიდან ექვს თვეზე მეტი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში, იყო ომის რამდენიმე ფაზა. ომის დაწყებისას, რუსეთის მხრიდან ბლიცკრიგის მცდელობა იყო. იგულისხმებოდა კიევის აღება, პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცვლა პრორუსული ძალებით, რაც ბევრად გაუადვილებდა პუტინის კრემლს, რომ უკრაინაში საკუთარი ხელისუფლება ცეცხლითა და მახვილით დაემყარებინა. ეს რუსეთს, საბედნიეროდ, ვერ გამოუვიდა და შემდეგ მოუწია უკრაინის ჩრდილოეთ ნაწილიდან თავისი შენაერთების გაყვანა, რადგან ძალა არ ჰყოფნიდა და კონცენტრირება მოახდინა უკრაინის აღმოსავლეთში, დონბასში, ე.წ. ლუგანსკისა და დონეცკის პრორუსული „რესპუბლიკების“ ადმინისტრაციულ საზღვრებზე. რუსებმა ლუგანსკში შესვლა თითქმის მოახერხეს, თუმცა ბოლომდე ვერა. დონეცკში ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს და ამასთან, გამოჩნდა, რომ რუსეთის არმიის წინსვლა აღმოსავლეთ ფრონტზეც საკმაოდ შენელებულია.

რაც შეეხება სამხრეთს, უკრაინის პრობლემა ის იყო, რომ როცა რუსეთი შეიჭრა 24 თებერვალს, ვერ მოახერხა იმ ორი შესასვლელის გადაკეტვა, რომელიც მანამდე ანექსირებულ ყირიმის ნახევარკუნძულს აკავშირებდა უკრაინის სამხრეთ ნაწილთან. შესაბამისად, რუსეთის საოკუპაციო ძალებმა, სამწუხაროდ, მოახერხეს ამ მიმართულებიდან შეჭრა და განავითარეს შეტევები, ძირითადად, სამი მიმართულებით.

რააც შეეხება იმას, თუ რატომ გადავიდნენ რუსები დნეპრის მარჯვენა მხარეს, იმედი ჰქონდათ, რომ სახმელეთო შეტევებით, რასაც დაეხმარებოდა ფართომასშტაბიანი საზღვაო დესანტი, გაიჭრებოდნენ ოდესის მიმართულებით და შემდეგ, სახმელეთო დერეფანს გაჭრიდნენ სეპარატისტული დნესტრისპირეთისკენ, სადაც რუსეთის სამხედრო ბაზაა. ეს გეგმა არ განხორციელდა, თუმცა ჯერ რუსები აკონტროლებენ ხერსონს.

– როგორია ექვსი თვის შემდეგ, თითოეული ქვეყნის სტრატეგიული პოზიცია?

– ექვსი თვის შემდეგ, ორივე ქვეყნის გადაღლილობა შეიმჩნევა. რუსეთის საოკუპაციო ძალებს აღარ აქვთ იმის ძალა, რომ ფართომასშტაბიანი შეტევები განახორციელონ. უკრაინის არმიას კი ჯერ არ აქვს იმხელა ძალა, რომ კონტრიერიშზე გადავიდეს. როგორც წესი, კონტრიერიშზე გადასვლა მეტ ძალას მოითხოვს და დანაკარგიც მეტია. ერთია თავდაცვის პოზიციაში ყოფნა, როცა გამაგრებული ხარ და როგორც წესი, მათი მსხვერპლი უფრო მეტია, ვინც შეტევაზე მოდის. ამიტომ, ძირითადად, პოზიციური ბრძოლები მიდის საარტილერიო სისტემების გამოყენებით, რაშიც უპირატესობა რუსეთს აქვს საბრძოლო მარაგისა და საარტილერიო დანადგარების რიცხოვნობიდან გამომდინარე. სამაგიეროდ, ხარისხობრივი უპირატესობა აქვს უკრაინას მას შემდეგ, რაც „ჰაიმარსის“ ტიპის სისტემები მიიღო, საიდანაც ისვრის მართვად რაკეტებს, რაც საშუალებას იძლევა, 3-5 მეტრის სიზუსტით მოარტყას წინასწარ დასახულ მიზანს. ჯერჯერობით, რუსეთმა ვერაფერი მოახერხა „ჰაიმარსის“ მართვადი რაკეტების წინააღმდეგ.

მნიშვნელოვანია ყირიმის ნახევარკუნძულის საკითხიც, რადგან რუსეთი სულ ამბობდა, ეს ჩემი ტერიტორიაა და ვერავინ გაბედავს ყირიმზე თავდასხმასო, მაგრამ უკრაინამ გაბედა – აეროდრომსაც დაარტყა და შტაბსაც ორჯერ, თუმცა ამას უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე – სამხედრო...

– ბატონო ირაკლი, კონტრშეტევა ნიშნავს თუ არა, რომ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადაინაცვლებს ფრონტი და რამდენად რეალურად მიგაჩნიათ მოვლენების ასე განვითარება?

– არა, ამას არ ნიშნავს. საუბარია ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაზე. უკრაინის ხელისუფლებასაც არასდროს უთქვამს, რომ რუსეთის ტერიტორიაზე გადავა. ის ამბობს, რომ უნდა აღადგინონ სტატუს-კვო, რაც იყო 1991 წლის ბოლოს, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და უკრაინა გაეროს წევრი ქვეყანა გახდა. მას უნდა, ის საზღვრები დაიბრუნოს.

– ყველა ჩვენგანს ახლა ერთი რამ გვაინტერესებს – როდის დამთავრდება ომი. თქვენი პროგნოზი როგორია?

– გამომდინარე იქიდან, რომ ბლიცკრიგი არ შედგა, ეს ნიშნავს, რომ უკრაინამ შეძლო პირველი „ნოკაუტური“ დარტყმის მოგერიება, ნელ-ნელა გონს მოდის, ძლიერდება და ეს სამხედრო დახმარებების გადაცემის პროცესიც ჩამოყალიბდა. უკრაინამ იგრძნო პატარა გამარჯვებების სიხარული და ნახა, რომ შეიძლება, თურმე, რუსულ სამხედრო მანქანასთან წარმატებით ბრძოლა. ასე რომ, მთავარია, უკრაინისთვის რესურსების გადაცემის პროცესი არ შეწყდეს და არ მოხდეს დასავლეთის „გადაღლა“, რისი საშიშროებაც დგას. მით უმეტეს, ვხედავთ, ენერგომატარებელთან დაკავშირებით რა ხდება დასავლეთში. დასავლეთი ათწლეულების განმავლობაში, როგორც კარგი „ნარკომანი“, ისე „დაჯდა“ რუსული ნავთობისა და გაზის „ნემსზე“. მაშინვე იყო საჭირო, რომ არ ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი რუსეთზე...

– შემოდგომა-ზამთარი მოდის და ეს რა შედეგს მოახდენს ომის პროცესზე?

– იცით, რატომ ხდებოდა ყველა ომი საქართველოში ზაფხულში, აგვისტოში? 1992 წელს, 2008 წელს... რუსეთს ამ პერიოდში უპირატესობა ჰქონდა იმ თვალსაზრისით, რომ ავიაციას, საჰაერო სივრცეს აკონტროლებდა. ზაფხულში წვიმები არაა და ჰაერიდან გაკონტროლება ადვილია. ასევე, ჯავშანტექნიკის გადაადგილება მინდვრებში არ არის რთული, რადგან ტალახი არაა. რაც შეეხება უკრაინას, რუსებმა ომი თებერვალში დაიწყეს, როცა ჯერ კიდევ მოყინული იყო მიწა, თუმცა გეგმაში ბლიცკრიგი ჰქონდათ და სწორედ ამით წააგეს, რადგან ხის მასივი ბევრად მეტია უკრაინის ჩრდილოეთით. სტეპები სადაცაა, ხერსონსა და დონბასში, იქ ბევრად რთულია, რადგან მხოლოდ ქარსაცავებია. შემოდგომაზე ატალახდება და საბრძოლო მოქმედებები შედარებით შენელდება, თუმცა ზამთარში მიწა გაიყინება და ისევ გააქტიურდება.

– როგორც ვხვდები, ომის მოკლე ვადაში დასრულებას არ პროგნოზირებთ...

– ჯერ არ გაჩერდება ყველაფერი ეს, ვნახოთ, რა იქნება. თუმცა, საბედნიეროდ, რუსეთს აღარ აქვს იმის ძალა, რომ მასშტაბური შეტევები განახორციელოს.

საქართველო ევროგადახდის ერთიან სივრცეს შეუერთდება

ირაკლი ღარიბაშვილი: „ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს, რაც უპრეცედენტოა მთელ მსოფლიოში!“

მაკა რუხაძე

ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, საქართველოს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა აქვს, რაც მთელ მსოფლიოსა და რეგიონში არსებული გამოწვევების ფონზე, უპრეცედენტოა. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „სტანდარტ ენდ პუარსმა“ (S&P) საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი უცვლელად – BB დონეზე დატოვა, რაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ხელისუფლების გონივრული და სწორი პოლიტიკის შედეგია. ეკონომიკის ექსპერტების შეფასებით, რეიტინგის შენარჩუნება ადასტურებს, რომ მთავრობის მიერ გატარებული გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, ქვეყნის ფისკალურ სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეკონომიკაში პოზიტიური ტენდენციები გრძელდება და სტატიაც, სწორედ ამ ტენდენციების განხილვით დავიწყოთ.

პოზიტიური ტენდენციები ეკონომიკაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, რეგიონსა და მსოფლიოში არსებული, უპრეცედენტოდ დიდი გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და გამოწვევების მიუხედავად, ქვეყანაში სავალუტო შემოდინებები იზრდება. მაგალითად, მიმდინარე წლის ივლისში, 40%-ით გაიზარდა ექსპორტი, რომლის რეკორდული მოცულობა – 542 მილიონი აშშ დოლარი დაფიქსირდა.

„მინდა, ჩვენს მოქალაქეებს მივაწოდო ინფორმაცია, რომ ბოლო პერიოდში, აქტიურად გრძელდება პოზიტიური ტენდენციები ეკონომიკაში, განსაკუთრებით, ეკონომიკური აქტიურობის კუთხით. რა თქმა უნდა, ეს დადებითად აისახება დასაქმებასა და სამუშაო ადგილების შექმნაზე. წინა კვირაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ უმუშევრობის დონე შემცირებულია, რაც, მინდა ვთქვა, რომ ყველას გვახარებს. მანამდე გეტყვით, რომ ექსპორტთან ერთად, მიმდინარე წლის ივლისში, ტურიზმიც გაიზარდა. ყველა მიმართულებით, პოზიტიური ტენდენციები გვაქვს, რასაც შენარჩუნება, კიდევ უფრო გაძლიერება და აქტიური მუშაობა სჭირდება“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაური თქმით, რამდენიმე თვის განმავლობაში, ქვეყანაში დასაქმებულთა რაოდენობაც მნიშვნელოვნად – 55 000-ით გაიზარდა. ღარიბაშვილი ამბობს, რომ იმავდროულად, ახალი სამუშაო ადგილებიც შეიქმნა.

„რაც შეეხება უმუშევრობას, მისი დონე 4 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული და 18.1%-ია. აქვე მინდა სიხარულით აღვნიშნო, რომ სულ რაღაც რამდენიმე თვეში, დასაქმებულთა რაოდენობასთან ერთად, ახალი სამუშაო ადგილებიც შეიქმნა. გარდა ამისა, ჩვენი ინიციატივის ფარგლებში, 20 000 სოციალურად დაუცველი დასაქმდა. მთელი ქვეყნის მასშტაბით, ისინი ჩართულნი არიან სხვადასხვა მიმდინარე სამუშაოებში, იქნება ეს ინფრასტრუქტურა, სატყეო, თუ სხვა მიმართულებები. რა თქმა უნდა, ამას სჭირდება კიდევ მეტი აქტიურება, რადგან ამ პროგრამაში გაცილებით მეტი ადამიანი უნდა ჩაერთოს“.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „სტანდარტ ენდ პუარსმა“ (S&P), საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი უცვლელად – BB დონეზე, სტაბილური პერსპექტივით შეაფასა. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია S&P-ის შეფასებითვე, საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5%-დან 8%-მდე გაიზარდა.

„საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია S&P-ის შეფასება სასიხარულოა ჩვენთვის. ასევე, მინდა ვთქვა, რომ მათი შეფასებით, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5%-დან 8%-მდე გაიზარდა. მოგეხსნებათ, რომ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, ჩვენ ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს, რაც უპრეცედენტოა მთელ მსოფლიოში, მეგობრებო, მით უმეტეს, რეგიონში არსებული გამოწვევების ფონზე! კიდევ მინდა გავიმეორო, ეს ყველაფერი შემთხვევით არ მომხდარა. ეს ჩვენი ხელისუფლების გონივრული და სწორი პოლიტიკის შედეგია. ჩვენ სხვა, გაუგებარი, ანტისახელმწიფოებრივი, მოღალატეობრივი, პოზიციები რომ დაგვეკავებინა, დღეს ქვეყანაში დიდი უბედურება იქნებოდა. ეს ჩვენ კარგად გვესმის“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველო ევროგადახდის ერთიან სივრცეში

„ვემზადებით, რომ შევუერთდეთ ევროგადახდის ერთიან სივრცეს – SEPA-ს. ამის შემდეგ, ევროკავშირში გადარიცხვებისთვის საჭირო აღარ იქნება საკორესპონდენტო ბანკის ან შუამავლის გამოყენება და ეს ძალიან პოზიტიური საკითხია ჩვენი მოქალაქეებისთვის“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, ამ ორგანიზაციის წევრია ევროკავშირში შემავალი 27 ქვეყანა, ასევე, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია და ლიხტენშტაინი. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ამ მიმართულებით, ყველა სამთავრობო უწყება მუშაობს, პარლამენტს კი სამი კანონპროექტი გადაეგზავნება დასამტკიცებლად.

„მინდა, კიდევ ერთი პოზიტიური ინფორმაცია ვუთხრა ჩვენს მოქალაქეებს, რაც ევროკავშირთან ინტეგრაციას უკავშირდება. გეტყვით, რომ ვემზადებით, შევუერთდეთ ევროგადახდის ერთიან სივრცეს. ამ ორგანიზაციას SEPA ეწოდება, ეს აბრევიატურაა და ნიშნავს – Single Euro Payment Area-ს. ეს არის ევროკავშირისა და ევროზონის ქვეყნებში საგადასახადო მომსახურებისა და პროვაიდერების ჰარმონიზების ჩარჩო, რომლის წევრიცაა ევროკავშირის 27 ქვეყანა, ასევე, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია და ლიხტენშტაინი. ამ მიზნით, ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, მოგახსენებთ, რომ ეროვნული ბანკი, ეკონომიკის სამინისტრო და სხვადასხვა სამთავრობო უწყებები აქტიურად არიან ჩართულნი. საქართველოს პარლამენტმა კი, რომელსაც სამ კანონპროექტს გადავუგზავნით, შესაბამისი ცვლილებები უნდა ასახოს და შემდეგ, დაამტკიცოს, რაც ძალიან პოზიტიური იქნება ჩვენი მოქალაქეებისთვის. ზოგადად, ვიტყოდი, რომ ევროკავშირში გადარიცხვებისთვის საჭირო აღარ იქნება საკორესპონდენტო ბანკის ან შუამავლის გამოყენება და ეს ძალიან პოზიტიური საკითხია ჩვენი მოქალაქეებისთვის“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რა ხარვეზები გამოვლინდა მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაში

მაკა რუხაძე



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მორიგი სკანდალური დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციით დაინტერესდა. აუდიტი, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2017-2020 წლებს მოიცავს. სახელმწიფო მაკონტროლებლებმა გაარკვიეს, რომ ბოლო წლებში, მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირების დადებითი ტენდენციის მიუხედავად, საქართველო კვლავაც მიეკუთვნება ევროპაში პატიმართა მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნების რიცხვს, რაც საერთაშორისო კვლევებითაც დასტურდება. მაგალითად, ევროსაბჭოს დაკვეთით მომზადებულ ლოზანის უნივერსიტეტის (შვეიცარია) ანგარიშის თანახმად, ჩვენს ქვეყანაში, 2017 -დან 2018 წლის იანვრამდე პერიოდში, ყოველ 100 000 მოსახლეზე, აღრიცხული იყო 252 პატიმარი. პატიმართა რაოდენობის შემცირებისა და განმეორებითი დანაშაულების პრევენციისთვის აუცილებელია კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობა, რისთვისაც 2017-2020 წლებში 28 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა, რამდენად უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირებას და ბენეფიციართა საზოგადოებაში სრულფასოვან რეინტეგრაციას. აუდიტის შედეგად მთელი რიგი ხარვეზები გამოვლინდა, მათ შორის, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ბენეფიციართა ჩართულობის აღრიცხვიანობისა და მათი დასაქმების მიმართულებით.

ხარვეზები სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც დამოუკიდებლად განსაზღვრავს ამ მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, 2017-2018 წელს, შესაბამის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს ინდივიდუალურად შემუშავებული არ ჰქონდათ და წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ერთეულის, სამუშაო ჯგუფების დოკუმენტებში. ამასთან, გეგმებში მითითებული აქტივობები მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი შეფერხებებით, ხოლო გარკვეული მათგანი არ დაწყებულა.

„იუსტიციის, ასევე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების გაერთიანების შემდგომ, 2018 წელს, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესთან მიმართებით დაგეგმილ 13 აქტივობას, განსაზღვრული 37 ინდიკატორით.

აღნიშნული ინდიკატორებიდან დასრულებულია 57%, მიმდინარეა – 38%, ხოლო არ დაწყებულა – 5%. შეუსრულებელი საქმიანობის ძირითად მიზეზად მითითებულია ახალი კორონავირუსის – COVID-19-ის პანდემია და აქტივობების ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებულება. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში დანერგილ სერვისებსა და ღონისძიებებში, ბენეფიციართა ჩართულობის მაჩვენებელი დაბალია“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

2017-2020 წლებში, პენიტენციური დაწესებულებებიდან, პირობით ვადამდე გათავისუფლდა ან სასჯელი შეეცვალა თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი ფორმით, 4 866 ბენეფიციარს, საიდანაც რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში დანერგილ ძირითად პროგრამებში ჩართული იყო მხოლოდ 20%.

აღსანიშნავია, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად, მსჯავრდებულთა უმრავლესობის მთავარ მამოტივირებელ ფაქტორს წარმოადგენს რეაბილიტაციის პროცესში ჩართულობის დადებითი გავლენა სასჯელის შემსუბუქებაზე. არსებული მდგომარეობით, მსჯავრდებულთა პროცესში ჩართულობის მოტივაციის გაზრდის მიზნით, წამახალისებელი აქტივობები დანერგილი არაა.

„რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის სრულყოფილად და ეფექტიანად განსახორციელებლად საჭიროა, როგორც ფსიქოლოგის, ასევე, სოციალური მუშაკის ჩართულობა. შესაბამისი სპეციალისტების საკადრო დეფიციტის გამო, პროცესი არ არის ხელმისაწვდომი პრობაციის სააგენტოს ყველა რეგიონსა და ოფისში. ზოგიერთ შემთხვევაში, მოსამართლის გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულს სავალდებულოდ განესაზღვრება სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულობა.

დოკუმენტების წარმოუდგენლობის გამო, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება, ხდებოდა თუ არა მოსამართლის გადაწყვეტილების აღსრულება იმ რეგიონებში, სადაც არ იყო ხელმისაწვდომი შესაბამისი სპეციალისტი“.

ყოფილ პატიმრებთან მიმართებით, 2020 წლამდე, რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესი მხოლოდ 5 ოფისში მიმდინარეობდა, დღეის მდგომარეობით კი, მხოლოდ თბილისში მიმდინარეობს. პენიტენციური სამსახურის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებით, 2019-2020 წლებში, პენიტენციური დაწესებულება დატოვა 7 879 მსჯავრდებულმა, ხოლო პროცესში ყოფილი პატიმრის სტატუსით ჩაერთო მხოლოდ 4.5%.

დასასრული მე-8 გვერდზე

რა ხარვეზები გამოვლინდა მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაში

მე-7 გვერდიდან

2021 წლის ივნისის მდგომარეობით, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართული 311 ყოფილი პატიმრიდან, სოციალური მუშაკები მუშაობენ 190 ბენეფიციართან, ხოლო 121 ბენეფიციარი, რაიონული ოფისების დახურვისა და სპეციალისტების შემცირების გამო, ვერ იღებს შესაბამის მომსახურებას. შესაბამისად, ყოფილი პატიმრების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ სარგებლობს კანონით მინიჭებული უფლებით, ჩაერთოს და ისარგებლოს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში არსებული სერვისებით.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში განხორციელებული ღონისძიებები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

ხარვეზები ბენეფიციართა განათლებაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ხარვეზებია მსჯავრდებულთა განათლების მიღების ნაწილშიც, რაც არსებით გავლენას ახდენს მსჯავრდებულთა სურვილსა და შესაძლებლობებზე, მიიღონ სრულფასოვანი განათლება.

„არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობას ნახევრად ღია, დახურული, განსაკუთრებული რისკისა და ქალთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულებისათვის.

არადა, ამ ტიპის დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთა რიცხოვნობა სრული რაოდენობის 95%-ია.

სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის ზოგადი განათლების მიღება ხელმისაწვდომია მხოლოდ მათი შესაძლებლობებით, შესაბამისი პედაგოგების დახმარების გარეშე.

ამასთან, მათ შესაბამისი სასწავლო წიგნებით განათლების სამინისტრო და პენიტენციური დაწესებულებები არ უზრუნველყოფენ. ბენეფიციარებს წიგნებს აწვდიან სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები, პირადი ინიციატივისა და კონტაქტების საშუალებით მოძიებული მასალებით“.

აუდიტის პერიოდში, სრულწლოვანთა დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულთაგან მხოლოდ სამმა მათგანმა ჩააბარა შესაბამისი გამოცდა, რაც დაბალი მაჩვენებელია.

მეტიც, აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ მსჯავრდებულებს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ კორესპონდენციული სწავლების მეთოდით – გარკვეული სპეციალობების მიმართულებით, თუმცა უმაღლესი განათლების მიღების პროცესში გამოვლინდა ნაკლოვანებები, რის გამოც ბენეფიციართა ნაწილმა შეწყვიტა სწავლა.

გარდა ამისა, პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ ბიბლიოთეკებს სჭირდება, როგორც სარემონტო სამუშაოები, ასევე, შესაბამისი საგანმანათლებლო და ზოგადი ლიტერატურითა და უცხოენოვანი მასალებით შევსება.

ხარვეზები ბენეფიციართა დასაქმებაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად, ხარვეზები გამოვლინდა მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა დასაქმებაშიც. ასე, მაგალითად, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთა დასაქმების გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არიან ჩართულნი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის უშუალო განმახორციელებელი სპეციალისტები – სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები.

„გარდა ამისა, პენიტენციურ დაწესებულებებში, მსჯავრდებულთა ინდივიდუალური საქმიანობის ფარგლებში დამზადებული სხვადასხვა ტიპის ნაკეთობების რეალიზება უნდა განხორციელებულიყო ონლაინ-მაღაზიის მეშვეობით, თუმცა პროდუქციის გაყიდვებთან დაკავშირებით შეიქმნა პრობლემები, რომლის დარეგულირება პენიტენციურმა სამსახურმა ვერ შეძლო. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, ონლაინ-ელექტრონული მაღაზია არ ფუნქციონირებს“.

2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის მონაწილე ყოფილი პატიმრების 65% ჩართული იყო სოციალური დახმარების პროგრამაში ან დაყადაღებული ჰქონდა ანგარიშები. დასაქმების შემთხვევაში კი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული ტიპის ბენეფიციარებს ეხსნებათ სოციალური შემწეობა, ამიტომ დასაქმებისას, უმეტესი მათგანი ან უარს აცხადებს შეთავაზებულ ვაკანსიაზე და არჩევს სოციალური დახმარების მიღებას, ან ირჩევს ისეთი ტიპის სამსახურს, სადაც ანაზღაურება არ ხორციელდება საბანკო ჩარიცხვებით. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ეს გარემოება უარყოფით გავლენას ახდენს ყოფილ პატიმართა დასაქმებასა და, შესაბამისად, მათ რესოციალიზაციაზე.

„ყოფილ პატიმართა და მათი ოჯახის წევრების დასაქმების მიზნით შექმნილმა საწარმომ – ააიპ „შეცვალე სცენარი“, მომხმარებლის კლების გამო, 2019 წელს, ფუნქციონირება შეწყვიტა. შესაბამისად, დახარჯულ რესურსს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

აქედან გამომდინარე, სწორედ ამ ნაკლოვანებებისა და გამოწვევების დარეგულირება მნიშვნელოვნად გაზრდის მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა დასაქმების მაჩვენებლებს, რაც დადებითად აისახება ბენეფიციართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესზე“.

სამართალი

№34 31 აგვისტო 2022 წ

მეეზოვემ ნაძალადევში ახალგაზრდა მამაკაცის გვამი იპოვა

სისხლიანი არალეგალური ბრძოლები

ბათო ჯაფარიძე

რამდენიმე დღის წინ, წესების გარეშე ბრძოლაში, ქართველმა მერაბ დვალიშვილმა, ბრაზილიელი ჟოზე ალდო დაამარცხა და მსოფლიო რეიტინგში მესამე ადგილზე გადაინაცვლა. დღემდე მიდის დავა, რამდენადაა სპორტის ეს სახეობა სპორტი და რატომ რისკავენ სიცოცხლით ადამიანები, რომლებიც რინგზე გადიან და ერთმანეთს დაუზოგავად სცემენ, თუმცა ეს არის უზარმაზარი ბიზნესი, მილიონობით შემოსავლით და თუ მებრძოლი პოპულარული და რაც მთავარია, ძლიერია, მისმა ჰონორარმა ერთ ბრძოლაში, შესაძლოა, 20 მილიონ დოლარსაც გადააჭარბოს.

ალდოს პოპულარობისა და დვალიშვილის რეიტინგის მიუხედავად, აღნიშნულ ბრძოლაში მათი შემოსავალი დიდი ნამდვილად არ იყო – ბრაზილიელმა წაგების მიუხედავად, 300 ათასი დოლარი მიიღო, მერაბმა – 60 ათასი, თუმცა კიდევ ერთი ბრძოლის მოგების შემთხვევაში, დვალიშვილს ქამრისთვის მოუწევს შეხვედრა და უდიდესი ალბათობით, საუბარი მილიონებზე იქნება...

გასულ საუკუნეში, რამდენიმე ქართველი მოჭიდავე რუსეთში არალეგალურ ბრძოლებში მონაწილეობდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც მებრძოლები, შეხვედრის დროს მიყენებული ტრავმების შედეგად, გარდაიცვალნენ და ამის გამო, მაშინ არავინ დაუსჯიათ. არალეგალური ბრძოლები და შესაბამისად, დიდი ფსონები, არაერთ ქვეყანაში ახლაც არსებობს, თუმცა საქართველოში, საბედნიეროდ, ეს ტალღა გადავლილია და არაოფიციალურად აღარავინ ჩხუბობს. თუმცა, იყო დრო, როცა ეს სფერო ჩვენშიც საკმაოდ იყო განვითარებული და მაშინ, როცა უშუქობა, უგაზობა და უწყლობა ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, არალეგალურ ბრძოლებზე დიდი თანხები იდებოდა. დიდში, 50 და 100 ათასს ვგულისხმობთ, ფულს, რომლითაც ვაკეში სამოთახიანი ბინის შეძენა იყო შესაძლებელი.

„ნახალოვკაში“ ახალგაზრდა მამაკაცის გვამი მეეზოვემ იპოვა. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა დაასკვნეს, ეს კაცი ან ცემაში მოკლეს, ან ავტომობილი დაეჯახა და მიატოვაო. ექსპერტიზის დასკვნა საინტერესო იყო. როგორც აღმოჩნდა, ახალი ჭრილობების გარდა, გვამს ძველი დაბეჟილობებიც ჰქონდა და ექსპერტი დაბეჟითებით ამტკიცებდა, ეს კაცი ან მოკრივეა, ან ვიღაც მუდმივად სცემდა, რაც გამორიცხულია, რადგან კარგ ფიზიკურ ფორმაშია და იოლად ვერავინ დაჩაგრავდაო. თავისი ვერსია ჰქონდა ადგილობრივი განყოფილების უფროსს – გარდაცვლილი, სავარაუდოდ, გაძარცვეს, ხელიდან ბეჭედი აქვს წამძვრალი, ყელზე კი საკმაოდ მსხვილი ჯაჭვის კვალი ეტყობაო.

„ჩემი ქმარი მოკრივე იყო. შემდეგ, როცა კარიერა დაასრულა, მხოლოდ საბჭოთა კავშირის დროს, ახალგაზრდულ პირველობაზე მოგებული საკავშირო ჩემპიონის ორი ოქროს მედალი შეგვრჩა და ფინანსურად ძალიან გაგვიჭირდა. სად აღარ სცადა მუშაობა, თუმცა ვერსად გაძლო და აგერ, ექვსი თვის წინ თქვა, ახალი სამსახური ვიშოვეო. სოლიდური თანხები მოჰქონდა სახლში, ბიჭებს ვავარჯიშებო, იძახდა, მაგრამ ვატყობდი, რომ ვარჯიშის დროს, ასეთ დაზიანებებს ვერ მიიღებდა. რა უნდა მექნა? როგორც იქნა, ამოვისუნთქეთ, სახლში საკმარისი საკვები გაჩნდა და მივედით იქამდე, რისიც მეშინოდა, მაგრამ არ ვფიქრობდი. არ მეგონა, თუ საქმე სიკვდილამდე მივიდოდა“, – განაცხადა გარდაცვლილის ცოლმა.

ადგილობრივი პოლიცია თავს იგიჟებდა, ჩვენთან არალეგალური ბრძოლები როგორ გაიმართება, ყველაფერს ვაკონტროლებთ და საამისოდ შენობაც ხომ უნდა იყოს, სადაც ხალხი შეიკრიბება, გამორიცხულია, ასეთი თავყრილობები გამოგვრჩესო. მართლაც, ძნელია, უბანში დამალო ის, რომ სადღაც, ყველაზე ცოტა, ასი ადამიანი იკრიბება, ღრიანცელი და ბრძოლაა... სამართალდამცავებმა საქმე კონტროლზე აიყვანეს და სიტუაციის შესწავლა სხვა რაიონის თანამშრომლებს დაავალეს, თუმცა სანამ ახალი დეტალები გაირკვეოდა, სრულყოფილი ექსპერტიზით გაირკვა, რომ მამაკაცი მიყენებული ტრვმებისგან კი არა, ერთ-ერთი წამლის მუდმივი მიღების შედეგად გარდაიცვალა. წამალი სისხლის ძლიერი გამათხელებელი იყო, რომლის ხანგრძლივად მიღება სისხლს აწყალებდა, რის შემდეგაც გული დატვირთვას ვეღარ უძლებდა. აღნიშნული პრეპარატის შესახებ ცოლმა არაფერი იცოდა და ერთადერთი, რაც გამომძიებლებს აჩვენა, პატარა, პლასტმასის ბოთლებში ჩასხმული სითხე იყო, ამ სითხეს იღებდა ხშირად, ოღონდ სად ყიდულობდა, არ ვიციო.

სახლიდან ამოღებულ ნიმუშებში იმ წამლის შემცველობა დიდი იყო. არადა, წესით, აღნიშნული პრეპარატი ბოთლში არ უნდა მოხვედრილიყო და გამოდიოდა, რომ ვიღაც იქ ძალით უშხაპუნებდა. ბოთლის თავსახურებზე, ძალიან, ძალიან წვრილი ნახვრეტი ჩანდა, საიდანაც სავარაუდოდ წამალს ასხამდნენ. არადა, აღნიშნული ბოთლები თავისუფალ გაყიდვაში არ იყო და ახლა გამომძიებლები არალეგალური ბრძოლების ადგილის გარდა, ამ სითხის გამსაღებელსაც ეძებდნენ. მისი პოვნა ბევრად მარტივი გამოდგა, აგენტურულმა ქსელმა გადასარევად იმუშავა და აღმოჩნდა, რომ ბოთლებს ახალგაზრდა ქალი ყიდდა, რომელსაც ისინი რუსეთიდან შემოჰქონდა.

„მე აკრძალულს არაფერს ვყიდი, ჩვეულებრივი, პროტეინებით გაჯერებული სითხეა. ვადასტურებ, რომ გარდაცვლილსაც მიჰქონდა ჩემგან ეს ბოთლები, მაგრამ საიდან მოხვდა შიგნით სისხლის გამათხელებელი, წარმოდგენა არ მაქვს“, – განაცხადა ქალმა.

მართლაც, მას მხოლოდ გადასახადების გადაუხდელობას თუ მიედავებოდნენ, თორემ რეალურად, ის აკრძალულს არაფერს ყიდდა. მისი პიროვნება მაინც შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ ოთხი თვის წინ, ძმა გარდაეცვალა და ისიც ქუჩაში ნახეს. ექსპერტიზის დასკვნა მაშინაც იგივე იყო, რაც ამ შემთხვევაში, თუმცა საქმე ადგილობრივი განყოფილების ხელმძღვანელმა, როგორც ძარცვა, ისე გაატარა და ისტორიაც ამით დასრულდა. ეს კი იმას ნიშნავდა,რომ ადგილობრივი ძალოვნები ყველაფრის საქმის კურსში იყვნენ და არალეგალურ ბრძოლებს მფარველობდნენ კიდეც, თუმცა ეს დასამტკიცებელი იყო.

ბოთლების გამყიდველი გოგონა მხრებს იჩეჩდა, არ ვიცი, რა ჩხუბები, ჩემი ძმა გაძარცვეს და ამ დროს მოკლეს, ასე მითხრეს სამართალდამცავებმაო, მაგრამ ისე ჩანდა, რომ გოგოსაც აწყობდა, გამოძიება უფრო შორს არ წასულიყო.

თუ გახსოვთ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მთელ საქართველოში, ღამის ყველა ქარხანა გაიძარცვა და გამონაკლისი არც დედაქალაქი იყო. გაჩნდა ეჭვი, რომ ბრძოლები, სწორედ ერთ-ერთი ასეთი მიტოვებული ქარხნის ტერიტორიაზე იმართებოდა და ოპერმუშაკებმა რამდენიმე ობიექტი ფრთხილად შეამოწმეს. ერთ-ერთში კი კარგად დასუფთავებული დარბაზი ნახეს, რომლის შუაგულშიც ლეიბები ეწყო, იქვე იყო სკამები, რომლებზეც ცელოფანი იყო გადაფარებული მტვრისგან დასაცავად. ჩხუბების მოწყობის ადგილი ნაპოვნი იყო, ახლა მთავარი გახლდათ, გაეგოთ, როდის გაიმართებოდა შემდეგი „წარმოდგენა“.

ამიტომ, ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე კარგად შენიღბული სათვალთვალო პუნქტი გახსნეს და ღამის ერთი თვის განმავლობაში, ამაოდ ელოდნენ „ღონისძიების“ დაწყებას, თუმცა ექვსი კვირის გასვლის შემდეგ, ქარხანაში დილიდან ფუსფუსი დაიწყო – ჯერ სასმელებით დატვირთული მანქანა შევიდა, შემდეგ მაგიდები და საკვები პროდუქტები მიიტანეს, შემდეგ სპორტულ ფორმაში ჩაცმული მებრძოლები გამოჩდნენ, ღამის პირველ საათზე კი „ნაღები“ საზოგადოებაც მივიდა. როგორც კი პირველმა წყვილმა სახელდახელოდ მოწყობილ ოქტაგონზე ხელი გაიქნია, სპეცოპერაციაც დაიწყო. სხვებთან ერთად, სპეცდანიშნულების რაზმმა, ადგილობრივი განყოფილების უფროსი და მისი რამდენიმე თანამშრომელი დააკავა...

ყველაფერი მარტივად გაგრძელდა – პრაქტიკულად, ყველამ აღიარა საქმეში მონაწილეობა, განყოფილების უფროსმა თქვა, რომ ღონისძიებას „კრიშავდა“ და ამის სანაცვლოდ, თითოეული საღამოს შემდეგ, 10 ათას დოლარს იღებდა, მაგრამ მთავარი კითხვა, ვინ გაურია ვიტამინების ბოთლში სისხლის გამათხელებელი, რამაც ბოლოს ნაპოვნი მებრძოლის გარდაცვალება გამოიწვია, უპასუხოდ რჩებოდა.

განყოფილების უფროსმა სასჯელის შემსუბუქება მოითხოვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიცემის სანაცვლოდ და გარანტიებიც მიიღო. მისი თქმით, ვიტამინების გამყიდველი გოგო თავისი ძმის ბრძოლებს მუდმივად ესწრებოდა და ბიჭი სწორედ იმ მებრძოლთან შეხვედრის დროს დაიღუპა, რომელიც ბოლოს ნახეს გარდაცვლილი. შედეგად, უდიდესი შანსი იყო, ძმის გამო, გოგოს შური ეძია. სამართალდამცავებმა ისიც დააკავეს.

„დიახ, არაფრის დამალვას აღარ ვაპირებ. მან ძმა მოიკლა და კბილი – კბილის წილ. არ იცოდა, რომ მისი და ვიყავი, უბრალოდ, იცოდა, რომ ამ წრეში ვტრიალებდი და სპეციალურ ვიტამინებს ვყიდდი. ამიტომ, რამდენიმე ბოთლი მუდმივად მქონდა მისთვის გამზადებული და როცა მოდიოდა, ვაძლევდი. წამალი ბოთლის თავსახურიდან, ინსულინის ნემსით შემყავდა და არ ვნანობ, რაც მოვიმოქმედე“, -განაცხადა გოგონამ.

სხვათა შორის, მაშინ არაერთი ადამიანი გაუშვეს ციხეში, უფრო მეტი კი სასჯელს გადაურჩა. ჰოდა, იმ არალეგალური ბრძოლების ორგანიზატორებიდან ერთ-ერთი, უახლოეს წარსულში, თბილისის საკრებულოს მოწინავე წევრიც იყო.

ვინ დაუპირა მოკვლა განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელ ქალბატონს

როგორ აშანტაჟებდა ქალი ყოფილ ქმარს და რა ჩვენება მისცა შვილმა საქმროს წინააღმდეგ

ბათო ჯაფარიძე

მკვლელობის მცდელობა – დანაშაული, რომელიც მძიმე კატეგორიაში გადის, თუმცა საქართველოში, ჩემი აზრით, ცოტა უცნაური კლასიფიკაცია აქვს: საკმარისია, ადამიანი წელს ზემოთ, დანით გაკაწრო, მკვლელობის მცდელობის მუხლს გიყენებენ და იგივე ადამიანს რომ ფეხები იარაღით დაუცხრილო, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებად ჩაითვლება. არადა, რეალურად, დანით ნაკაწრ-ნაფხაჭნიც კი, რომელიც მკვლელობის მცდელობად კვალიფიცირდება, ბევრად უწყინარია, ვიდრე ფეხში მოხვედრილი ტყვია. ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, ერთი შეხედვით, სწორედ უწყინარი მკვლელობის მცდელობით დაიწყო, თუმცა იმის გათვალისწინებით, თუ ვინ გახლდათ დაზარალებული, მთელი შსს ფეხზე დადგა.

„ჩემი მეგობარი და კოლეგა ქალბატონი, განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი საკუთარ სადარბაზოში დაჭრეს. მას ჭრილობა ყელის არეში, ზედ საძილე არტერიასთან ჰქონდა მიყენებული, იმდენი სისხლი დაკარგა, უგონო მდგომარეობაში, საავადმყოფოში გადაიყვანეს და ექიმებს პროგნოზის გაკეთება უჭირდათ. მთელი სამნისტრო ფეხზე დადგა, კორპუსის სრული ბლოკირება მოხდა, შიგნით და გარეთ არავის ვუშვებდით და ვჩხრეკდით ყველაფერს, რისი გაჩხრეკაც კი შეიძლებოდა“, – იხსენებს მორიგ ისტორიას, პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

დაჭრილ ქალბატონს საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა. მას ერთი ქალიშვილი ჰყავდა, ქმარს კი მას შემდეგ დაშორდა, რაც მის წინააღმდეგ, საქმე თაღლითობის მუხლით აღიძრა. გარეთ 90-იანი წლები იდგა, ყველა ისე ცდილობდა თავის გატანას, როგორც შეეძლო. ჰოდა, განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლის ქმარმაც თაღლითური სქემა მოიფიქრა: თბილისში, რამდენიმე ადგილზე, დიდი ორმო ამოთხარა, აქაოდა, კორპუსების მშენებლობას ვიწყებო, „ბინები“ იაფად გაყიდა, საერთო ჯამში, ნახევარ მილიონზე მეტი დოლარი მოაგროვა და როცა საქმე გასკდა, გამომძიებელმაც დაშორება გადაწყვიტა. თანაც, კოლეგებმა იცოდნენ, რომ ქმრის გამო, არავისთვის უთხოვია, ეგებ, შეღავათიანი სასჯელი მისცეთო და ქმარიც ბოლომდე გაწირეს – იმ დროისთვის მაქსიმალური სასჯელი, 7 წელი მისცეს. ყოფილი ქმრის არსებობა, ალბათ, არავის გაახსენდებოდა, რომ არა მეზობელი, რომელიც დაჟინებით იმეორებდა, დღეს დილით, დაჭრილის ყოფილი ქმარი იყო მოსული და მის კარზე აკაკუნებდაო. გამომძიებლებმა გონებაში გადათვალეს, 7 წელი გასული უნდა ყოფილიყო და მაინც გადაამოწმეს. დადასტურდა – ქმარმა საპატიმრო ორი კვირის წინ დატოვა. ამასობაში, უბნის რწმუნებული, რომელიც იქვე, სანაგვეში იქექებოდა, გაბრწყინებული სახით წავიდა კოლეგებისკენ, მას ხელში სისხლიანი ნივთი ეჭირა. გამომძიებლებმა დახედეს და ე.წ. „ზატოჩკა“ ამოიცნეს, რომელსაც ციხეში ამზადებდნენ. მას წვეტზე სისხლის კვალი ჰქონდა და რა თქმა უნდა, ექსპერტიზაზე გაუშვეს.

ექსპერტიზის დასკვნა მალე დაიდო – „ზატოჩკაზე“ დაჭრილი გამომძიებლის სისხლის კვალი და რაც მთავარია, სახელურზე, მისი ყოფილი ქმრის ანაბეჭდი იყო. საქმე გახსნილად ჩაითვალა, მამაკაცზე ძებნა გამოცხადდა.

„ჩემი კოლეგა სიკვდილს ებრძოდა, ქალიშვილი და მისი საქმრო თავზე ადგნენ. საქმრო მომავალი პოლიციელი, ძალიან ნერვიულობდა, ეს როგორ დაგვემართაო, შვილი კი ტიროდა და გასაგებიც იყო – გამოძიების ვერსიით, მამამ დედა სასიკვდილოდ გაიმეტა. როცა ვკითხე, სად შეიძლება იყოს მამაშენი-მეთქი, მხრები აიჩეჩა, მაგრამ გამოხედვაში შეეტყო, რომ ზუსტად იცოდა, სადაც იმალებოდა კაცი. ამიტომ, მასზე თვალთვალი დავაწესეთ. არც შევმცდარვართ – გოგონამ ღამით მშენებარე კორპუსთან მიგვიყვანა, მეორე სართულზე ავიდა და მამას შეხვდა. ოპერმუშაკებმა მამა-შვილი ადგილზე დააკავეს“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

რა თქმა უნდა, მთავარი ეჭვმიტანილის დაკავებას ყველა ზეიმობდა, მაგრამ ამაოდ. მამაკაცმა კეტეგორიულად უარყო ცოლის მკვლელობის მცდელობა, თუმცა როცა „ზატოჩკა“ დაუდეს წინ, გაოცდა, მერე დაფიქრდა და თქვა, რომ ნივთი მისი იყო, რომელსაც სამახსოვროდ ინახავდა, მაგრამ ვიღაცამ სახლიდან მოპარა. მან გაიხსენა ყველა, ვინც კი სტუმრად ჰყავდა, მაგრამ ეჭვი ვერავისზე მიიტანა. მასთან სტუმრად არა მარტო ძველი მეგობრები, არამედ, ყოფილი ცოლი, შვილი და შვილის საქმროც კი იყვნენ. დაკავებულმა არც ის დამალა, რომ ცოლმა კი არ სთხოვა, მოსთხოვა, რომ იმ გადამალული თანხიდან, რომელიც ვერ გათქმევინეთ, სად გაქვს, 50% უნდა მომცე, თუ არადა, ისევ ციხეში შეგაბრუნებ, ნარკოტიკს ჩავადებინებ, ამის გაკეთება არ გამიჭირდებაო. კაცი ჯიუტად ამტკიცებდა, არანაირი ფული არ მაქვსო, მაგრამ ყოფილი ცოლი არ უჯერებდა და იმ დღესაც, მასთან, სწორედ საქმის საბოლოოდ გასარკვევად იყო მისული. კარზე დააკაკუნა, არავინ გაუღო და უკან გაბრუნდა, შემდეგ კი გაიგო, რაც მოხდა და იმასაც მიხვდა, რომ მთავარი ეჭვმიტანილი თავად იქნებოდა, ოღონდ მკვლელობის მცდელობის იარაღი თუ მისი იქნებოდა და თან თითის ანაბეჭდებით, ნამდვილად არ ეგონა. იმის მიუხედავად, რომ ძალოვნებს საქმე გამოცდილ კრიმინალთან ჰქონდათ, შინაგანად მაინც დაიჯერეს, რომ დაკავებული მკვლელი არ იყო. ამას გარდა, პირდაპირი მტკიცებულება არ ჰქონდათ და ამიტომ, იმ სტომრების შესწავლას შეუდგნენ, რომლებიც დაკავებულთან ბინაში იმყოფებოდნენ ანუ რომლებსაც შეეძლოთ „ზატოჩკა“ მოეპარათ.

სავარაუდო ეჭვმიტანილთა წრე ისე შემცირდა, რომ გამოძიებას ხელში შვილი და მისი საქმრო შერჩათ. დანარჩენ სტუმრებს ან მყარი ალიბი ჰქონდათ, ან ფიზიკურად ვერ შეძლებდნენ ამის გაკეთებას, რადგან საამისოდ, უბრალოდ, ძალა არ ეყოფოდათ. თითქოს შვილი გამოირიცხა, რადგან ის დედაზეც და მამაზეც ერთნაირად წუხდა, აი, საქმრო კი... საქმრო მომავალი პოლიციელი იყო და ცდილობდა, გამოძიებაში სრულად ყოფილიყო ჩართული. რა თქმა უნდა, საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მას ამის უფლებას არ აძლევდნენ, მაგრამ რაღაც ამბებს მაინც უზიარებდნენ ხოლმე. ერთადერთი იმედი დაჭრილი ქალის გამოჯანმრთელება იყო და აკი ისე მომჯობინდა, მისი დაკითხვა შესაძლებელი გახდა.

„სიხარულით შევედი დაკითხვაზე და წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა, როცა კოლეგამ მითხრა, არ ვიცი, ვინ დამჭრა, არ მახსოვსო. პირი დავაღე, გამორიცხული იყო, არ ხსომებოდა ანუ ის რაღაცას მალავდა და ფიქრებით ისევ მისი ყოფილი ქმრისკენ წავედი. სავარაუდოდ, არ სურდა, რომ ყოფილი ქმარი ისევ დაგვეჭირა, მაგრამ რატომ? თუ დამნაშავე ის იყო, სასიკვდილოდ გაიმეტა, თუმცა... დავიბენი, ძალიან დავიბენი და ჩემს კოლეგას ზედ ეწერა, რომ გადასარევად იცოდა, ვინ მიაყენა ჭრილობა, რომელსაც სასწაულებრივად გადაურჩა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

პალატიდან გამოსვლისას, ყოველი შემთხვევისთვის, გამომძიებელმა იკითხა, ჩემამდე ქალთან ხომ არავინ შესულაო და მორიგემ მორიდებით უთხრა, მხოლოდ სასიძო შევუშვი, ძალიან მთხოვაო. ეჭვი, რომ სასიძო საქმეში იყო გარეული, კიდევ უფრო გამძაფრდა და რაც მთავარია, დაჭრის მომენტისთვის, მას ალიბიც არ ჰქონდა. მისი დაკავება უაზრობა იყო, სამხილი სამართალდამცავებს არ გააჩნდათ და სავარაუდოდ, თვალთვალიც არაფერს მოიტანდა – სასიძოს თუ რამე ჰქონდა გასარკვევ-დასლაგებელი მომავალ სასიდედროსთან, უკვე დაალაგა, რაც გამოჩნდა კიდეც.

შსს-ს მაღალჩინოსნები კი კატეგორიულად ითხოვდნენ საქმის უმოკლეს დროში გახსნას და არცთუ ირიბად მიანიშნებდნენ, რომ ყოფილი ქმრისთვის ბრალის დამტკიცება ძალიან მარტივი იქნებოდა, მაგრამ გამომძიებელთა ჯგუფი ჯიუტობდა და თითქოს, რაღაცას ელოდა.

ეს რაღაც კი არ ჩანდა, დამნაშავე შეცდომას არ უშვებდა. ამიტომ, ისევ დაკავებული ქმრის დაკითხვა გადაწყდა, ოღნოდ მას კითხვები მომავალ სიძეზე დაუსვეს.

„რა უნდა ვთქვა? ჩვეულებრივი ბიჭია, ძალოვნებში სურს მუშაობა. ჩემთან სამჯერ იყო მოსული, ორჯერ შვილთან ერთად, მესამედ – მარტო. შინ სასმელი არ მქონდა, მაღაზიაში ჩავედი, სასიძო მარტო დავტოვე, მაგრამ არ მგონია, „ზატოჩკა“ მას მოეპარა, რაში უნდა დასჭირვებოდა მომავალი სიდედრის მოკვლა? ისე, იცოდა, სასიდედრო ფულს რომ მთხოვდა და სიცილით მკითხა კიდეც, როდის აძლევო, მეც სიცილით ვუპასუხე, ზეგ, 12.00 საათზე-მეთქი“, – გაიხსენა დაკავებულმა.

აი, სწორედ „ზეგ“ იყო ის დღე, როცა გამომძიებელი დაჭრეს. დაკავებულმა ისიც თქვა, იმ დღეს, ცოლის სანახავად 13.00 საათზე მივედი და კარი არ გამიღოო. წრე შეიკრა, მაგრამ სასიძო მკვლელობის მცდელობას არ აღიარებდა, რადგან დაზარალებული არ ადებდა ხელს და გამოძიებას მოწმეც არ ჰყავდა.

მაშველად ისევ გოგო მოევლინათ, ის მამას შეახვედრეს და დააჯერეს, რომ უნდა ეთანამშრომლა. ჰოდა, ისიც დათანხმდა და საქმროს პირდაპირ უთხრა, დედამ სიმართლე მომიყვა და სასიკვდილოდ რატომ გაიმეტეო? საქმრო გაფითრდა, შემდეგ გაწითლდა, ბოლოს კი ხელი აიქნია, შეიკურთხა და წასვლა დააპირა, თუმცა ოპერმუშაკებმა არსად გაუშვეს. დაკითხვაზე, გამომძიებელს, დაზარალებულის ჩვენებაც წინ ედო, სადაც ხელს, სწორედ სასიძოს ადებდა.

„როცა სასიმამრო პირველად ვნახე, გვითხრა, მალე ბინასაც გიყიდით, ბიზნესსაც დავიწყებ, ყველაფერი კარგად იქნებაო. მივხვდი, ის ფული გადამალული ჰქონდა და ამაში უფრო დავრწმუნდი, როცა ცოლმაც მოსთხოვა თანხა. გადავწყვიტე, ფული ხელში ჩამეგდო და დანარჩენი არაფერი მაინტერესებდა. „ზატოჩკაც“ იმიტომ მოვიპარე, რომ ეჭვი ქმარზე მიეტანათ. დარწმუნებული ვიყავი, ფულს მართლა მიიტანდა, ამიტომ სახლში შევედი თუ არა, დავარტყი, მაგრამ ფული ვერ ვიპოვე. მერე სასიმამროც მოვიდა, თუმცა აივნიდან დავინახე, რომ ხელში არაფერი ეჭირა და იმასაც მივხვდი, ფულის მოტანას რომ არ აპირებდა. ამიტომ, კარი არ გავაღე და შემდეგ, როცა გაბრუნდა, მეც წავედი. რაც შეეხება გამომძიებელს, ვუთხარი, რომ ჩავუშვებდი, ქმარს როგორ ატერორებდა, კარიერას დავუნგრევდი, თუ ხელს დამადებდა და ამიტომ გაჩუმდა“, – დაასრულა დაკავებულმა.

გარდა იმისა, რომ მკვლელობის მცდელობისთვის სასიძოს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი ქალბატონი, ყოფილი ქმრის შანტაჟის გამო, სამსახურიდან უხმაუროდ გაუშვეს. ციხიდან გამოსულმა კი, ორიოდე თვეში, სოლიდური ბიზნესი მართლაც წამოიწყო...

ბათო ჯაფარიძე

იმის მიუხედავად, რომ დღემდე გულზე მჯიღს ვიცემთ და ვამბობთ, საქართველოს 20% ოკუპირებულია, ფაქტია – ქართულ ჯარში სამსახური ახალგაზრდების უდიდეს ნაწილს არ სურს. ვიღაც ცდილობს, სწავლით აარიდოს ჯარს თავი, ვიღაც – გადავადებისთვის საჭირო 2 ათას ლარს აგროვებს და რეალურადაც, ჯარისკაცების დიდი ნაწილი, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, „ვიშკაზე“ დგას და იქ იცავს სამშობლოს. არცთუ იშვიათად გვესმის ჯარში არსებული არასახარბიელო სიტუაციის შესახებ, უახლოეს წარსულში, სუიციდის შემთხვევებიც არ იყო უცხო. მოკლედ, ჯარისკაცის ფორმის ჩაცმა საქართველოში, ჯერჯერობით, პრესტიჟული და რაც მთავარია, სავალდებულო არ არის. ჰო, სავალდებულო... იგივე, ისრაელში, რომელიც მუდმივად ომშია, სამხედრო სავალდებულო სამსახურს არა მარტო ბიჭები, არამედ, გოგონებიც გადიან და ამიტომაცაა, ისრაელს, ლამის მუდმივმოქმედი, სოლიდური არმია რომ ჰყავს და ყოველთვის მზადაა საომრად.

ქართული ჯარის ჯოჯოხეთური რეალობა

როგორ იძია შური გარდაცვლილი ჯარისკაცის მამამ შვილის მოძალადე მეგობრებზე

2000-იანი წლების გარიჟრაჟზე, ჯარში, პრაქტიკულად, არაფრის მქონენი და უპატრონოები მიდიოდნენ. ჰო, ასე ეძახდნენ – უპატრონოები, რადგან მაშინ ჯარს არც ნორმალური ფორმა ჰქონდა, არც – ფეხსაცმელი და საკვებიც, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, უკეთესის სურვილს ტოვებდა. თბილისში მდგარ ერთ-ერთ ნაწილში ცუდი ფაქტი მოხდა – ჯარისკაცმა თავი ჩამოიხრჩო და წერილიც დატოვა: „დედა, მამა, მაპატიეთ, მე ვერ გავხდი ისეთი, როგორიც თქვენ გსურდათ“... არადა, ბიჭი დედისერთა იყო, წესით, ჯარში წასვლა არ ეკუთვნოდა, მაგრამ თავად მოინდომა, თავად ჩაეწერა, სამშობლო უნდა დავიცვაო და კარანტინიც ვერ გაიარა, ორ კვირაში, თავი მოიკლა.

„როცა საქმე მომცეს, ძალიან გავბრაზდი და გავბრაზდი იმიტომ, რომ მკვდარი იყო ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც ყველა დადებითად ახასიათებდა. ნაწილის უფროსი სიმშვიდის განსახიერება გახლდათ, რას ვიზამთ, ასეთები ხდება, ყველას არ აქვს მყარი ფსიქიკაო და ჯარისკაცებიც, თითქოს, რაღაცას მალავდნენ, ყველა ერთხმად იძახდა, წარმოდგენა არ გვაქვს, თავი რატომ მოიკლა, აქ ყველაფერი იდეალურად არისო“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გამომძიებელმა ზუსტად იცოდა, რომ ბიჭი მარყუჟში თავს უმიზეზოდ არ გაუყრიდა. მან ჯარისკაცთა სიას ჩახედა და აღმოაჩინა, რომ ორი მათგანი არათუ არ დაუკითხავს, არამედ, არც უნახავს და მათთან შეხვედრა გადაწყვიტა, თუმცა ნაწილის უფროსმა უთხრა, ესენი გაიქცნენ და წარმოდგენა არ მაქვს, სად უნდა ვეძებო, საქმე სამხედრო პროკურატურას უკვე გადავეციო. აღმოჩნდა, რომ ეს ორი ჯარისკაცი ნაწილიდან თვითმკვლელობის მეორე დღეს გაქრა და გამომძიებელი მიხვდა, გასაღები, სწორედ ამ ორში იყო. რამდენიმე ჯარისკაცი ახლიდან დაიკითხა, დაიკითხა მკაცრად და მათ აღიარეს, გაქცეულები გარდაცვლილს ცუდად ექცეოდნენ, მუდმივად დასცინოდნენ, ავიწროვებდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ და იმის მიუხედავად, რომ ბიჭმა რამდენჯერმე უშუალოდ ნაწილის უფროსთან იჩივლა, რეაგირება არ მოჰყოლია, თუმცა ჯარისკაცებმა ყველაფერი ეს, პროტოკოლის გარეშე თქვეს, გამომძიებელს უთხრეს, შენ წახვალ, ჩვენ აქ ვრჩებით და ნაწილის უფროსი კარგ დღეს არ დაგვაყენებსო.

გაქცეულებზე ძებნა გამოცხადდა. ამ დროს, სუიციდის საქმის გამომძიებელს კოლეგამ მიაკითხა და წინ ახალი საქმე დაუდო. როგორც გაირკვა, თბილისის ზღვის მიმდებარედ, ავტომობილში, ახალგაზრდა წყვილი სასტიკად სცემეს, გოგონა კი გააუპატიურეს. ამ ამბავში ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ გაუპატიურებული გოგო... ჯარის ნაწილის უფროსის ქალიშვილი იყო.

გამომძიებლები ვარაუდობდნენ, რომ ეს ორი საქმე ერთმანეთზე იყო მიბმული. საავადმყოფოში მისულებს, ნაწილის უფროსი იქ დახვდათ, თმას იგლეჯდა, ძალოვნებს სთხოვდა, დამნაშავეს თუ იპოვით, მე მითხარით, სასამართლომდე არ მიიყვანოთო. გაირკვა ისიც, რომ გოგოს გაუპატიურება დროში ემთხვეოდა ნაწილიდან იმ ორეულის გაქცევას. არსებობდა ვარიანტი, რომ სწორედ გაქცეულმა ჯარისკაცებმა ჩაიდინეს ის, რაც ჩაიდინეს, მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდათ, სად იქნებოდა ნაწილის უფროსის ქალიშვილი და მით უმეტეს, ისეთ ადგილზე როგორ უნდა ეპოვათ, როგორიც თბილისის ზღვაა?!

„გაქცეულ ჯარისკაცებზე ვერსია იმიტომ გაჩნდა, რომ შემთხვევის ადგილზე სანთებელა ვიპოვეთ, რაღაც ნახატები ჰქონდა და მანამდე, ზუსტად ისეთი სანთებელა ნაწილში ვნახე, ერთ-ერთი ჯარისკაცი აწვალებდა ხელში და თქვა კიდეც, იმ გაქცეულებიდან ერთ-ერთმა მაჩუქა, ორი ცალი ჰქონდა, ზუსტად ერთნაირებიო. ძებნის არეალი გავაფართოვეთ და პრაქტიკულად, ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა გაქცეულები გამოჩენილიყვნენ, ჩასაფრება მოვაწყვეთ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ნაწილის უფროსის ქალიშვილის დაკითხვამ არსებული ეჭვი დაადასტურა. მან აღნიშნა, რომ შეყვარებულთან ერთად, ავტომობილში იმყოფებოდა და ზღვას გასცქეროდა, როცა ორი ბიჭი დაესხათ თავს, ჯერ შეყვარებული გადაათრიეს მანქანიდან და სასტიკად სცემეს (ბიჭს არა მარტო ნეკნები, არამედ, ყბის ძვლებიც დამტვრეული ჰქონდა და საუბარს ვერ ახერხებდა), შემდეგ კი გოგონას ეცნენ და მანქანაში გააუპატიურეს. თავდამსხმელთა აღწერილობა ზუსტად ემთხვეოდა გაქცეულებისას.

ექსპერტიზის კიდევ ერთმა დასკვნამ გამომძიებლები შოკში ჩააგდო. გარდაცვლილი ჯარისკაცის ფორმაზე შარდის წვეთები ნახეს, თანაც, ორი სხვადასხვა შარდის და, პრაქტიკულად, დადასტურდა, რომ დააფსეს. სავარაუდოდ, სწორედ ეს ვერ აიტანა და თვითმკვლელობა გადაწყვიტა. მოვლენები კი ელვის სისწრაფით ვითარდებოდა – საკუთარ სახლთან, ნაწილის უფროსს ვიღაც კაცი დახვდა და ხელკეტით თავი გაუტეხა. რომ არა მეზობლები, მოკლავდა კიდეც. თავდამსხმელი დააკავეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს – ის გარდაცვლილი ბიჭის მამა აღმოჩნდა, რომელიც ფიქრობდა, რომ მისი შვილის სიკვდილში მთავარი დამნაშავე, სწორედ ნაწილის უფროსი იყო. მამა მკაცრად გააფრთხილეს, ანალოგიური ფაქტის განმეორების შემთხვევაში, ციხეში მოუწევდა რამდენიმე დღის ან თვის გატარება და თან დაპირდნენ, რომ დამნაშავეებს აუცილებლად და რაც მთავარია, მალე დააკავებდნენ.

„იმ კორპუსში, სადაც ჯარის ნაწილის უფროსი ცხოვრობდა, ჩვენი კოლეგაც ბინადრობდა. ჰოდა, მეორე დღეს გაოცებული მოვიდა, ნაწილის უფროსი გარდაცვლილი ბიჭის მამას, ჩვენი სადარბაზოს წინ, ძალიან მშვიდად ესაუბრებოდა და როცა ერთმანეთს დაემშვიდობნენ, ბიჭის მამა გადაეხვია კიდეც და რამდენჯერმე მადლობა უთხრაო. ეს რაღაც ახალი იყო – წინა დღეს, კაცზე მოსაკლავად იწევდა, მეორე დღეს კი მადლობად დაიღვარა. მამასთან გასაუბრება გადავწყვიტეთ, მაგრამ ამაოდ – მას შვილი სახლში ესვენა, თავად კი სად იყო, ცოლმაც არ იცოდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა სასწრაფო წესით ნაწილის უფროსი დაჰკითხეს და მართალია, თავიდან გაჯიუტდა, არაფერი ვიციო, მაგრამ თავდაცვის იმჟამინდელი მინისტრის მოადგილის საქმეში უშუალო ჩარევის შემდეგ, ყველაფერი აღიარა.

„ცოლი ათი წლის წინ გარდამეცვალა, ერთადერთი ქალიშვილი სიმწრით გავზარდე, რომ არ დაჩაგრულიყო, ცოლიც არ მომიყვანია. ვიღაც ბიჭს გადაეყარა, ის თავ-გზას უბნევდა, მე წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ვერაფერს ვახერხებდი. მერე, ჩემს ნაწილში მოხდა ის, რაც მოხდა. ზუსტად ვიცოდი, ვისი ბრალიც იყო და იმ ბიჭებს მოვურიგდი, თუ ერთ საქმეს გააკეთებთ, პასუხისმგებლობისგან გაგათავისუფლებთ, საქმეს ჩავფარცხავ-მეთქი. ჩემი შვილის შეყვარებული უნდა ეცემათ და ვუთხარი, სადაც ცხოვრობდა, სურათიც ვაჩვენე. რა თქმა უნდა, ჩემს გოგოზე სიტყვაც არ მითქვამს, არ მინდოდა, მერე და მერე, მადა გაზრდოდათ და შანტაჟი დაეწყოთ. ისინი კიდევ, როცა იმ ბიჭს აედევნენ, მასთან ერთად, ჩემი შვილიც იყო და გადაწყვიტეს, სადაც თვითმკვლელობამდე მიყვანას ჩაფარცხავს, გაუპატიურებასაც მიაყოლებსო და ჩემი შვილი გააუპატიურეს. ისინი ჩემი მეგობრის აგარაკზე იმალებიან, გასაღები მე მაქვს და გარდაცვლილი ბიჭის მამა სწორედ იქ გავუშვი“, – განაცხადა ნაწილის უფროსმა.

ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა, ორი გაქცეულიდან, მხოლოდ ერთის გადარჩენა მოახერხეს. მეორე – ეზოში, ხეზე იყო ჩამომხრჩვალი. მოგვიანებით, ექსპერტიზამ თქვა, რომ ბიჭმა თავი თავად ჩამოიკიდა (იარაღის მუქარის ქვეშ), მეორემ კი გაქცევა მოასწრო. ჰო, გარდაცვლილის ტანისამოსზე ექსპერტიზამ... შარდის წვეთები ნახა ანუ მამამ ზუსტად ისე იძია შური, როგორც შვილი მოუკლეს.

რაც შეეხება ნაწილის უფროსს, ის სამსახურიდან კი გაათავისუფლეს, მაგრამ რეალურ სასჯელს გადარჩა (მაშინ ამის გაკეთება მარტივი იყო) და პირობითი მისცეს. მისი შვილის საქმრომ კი, გამოჯანმრთელების შემდეგ, გაუპატიურებული გოგოს ცოლად მოყვანა აღარ ისურვა... არც ესაა საქართველოში უცხო...

პოლიციამ იმერეთში განზრახ მკვლელობის ბრალდებით ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ზ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა, ვანში მდებარე ერთ-ერთი კვების ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ამავე ობიექტის მეპატრონეს – 1982 წელს დაბადებულ დ.ჩ.-ს, დანის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

პოლიციამ გ.ზ. ცხელ კვალზე, მომხდარიდან რამდენიმე საათში, ვანის მუნიციპალიტეტში, ბრალდებულის სახით დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ ტყიბულის მუნიციპალიტეტში მომხდარი მკვლელობის ფაქტი გახსნა – ცხელ კვალზე დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2004 წელს დაბადებული ლ.მ. დააკავეს. მას ბრალი განზრახ მკვლელობაში ედება.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათში, წარსულში არსებული კონფლიქტის გამო დაწყებული ურთიერთშელაპარაკებისას, მეზობელს – 1985 წელს დაბადებულ მ.მ.-ს, დანით სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ლ.მ., მომხდარიდან რამდენიმე საათში, ბრალდებულის სახით დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ბორჯომის ხეობაში ხანძრის ძირითადი კერები ლიკვიდირებულია

შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ, ბორჯომის მუნიციპალიტეტში ხანძრის სალოკალიზაციო-სალიკვიდაციო სამუშაოები მთელი ღამის განმავლობაში, აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა.

ამ დროისთვის, ხანძრის ძირითადი ნაწილი ლიკვიდირებულია და მიმდინარეობს აქტიურ კერებზე მუშაობა.

ხანძრის ქრობის პროცესში, მეხანძრე-მაშველებთან ერთად, უწყვეტ რეჟიმში, კვლავ მონაწილეობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის, თავდაცვის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასევე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები.

ასევე, დილიდან განაახლეს მუშაობა სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენებმა და თურქეთის რესპუბლიკის სპეციალიზებულმა სახანძრო თვითმფრინავმა.

პოლიციის მიერ ახალქალაქში ადმინისტრაციული წესით დაკავებული მოქალაქე სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო და პატიმრობა შეუფარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ახალქალაქში, ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელ სახლში ჩაატარეს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა მიმდინარე წლის 23 აგვისტოს, ახალქალაქში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, „ოპელის“ მარკის ავტომობილის მძღოლის მიერ გადაადგილებისას, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი პისტოლეტიდან პირადი ავტომობილით მოძრავი პოლიციის თანამშრომლების მიმართულებით გასროლა.

მომხდარი ფაქტის შემდეგ, მძღოლი ავტომობილიანად მიიმალა.

გამოძიების ფარგლებში, მალევე მოხდა ავტომანქანის მძღოლის იდენტიფიცირება და დადგინდა, რომ „ოპელის“ მარკის ავტომობილს მართავდა 1985 წელს დაბადებული ა.მ.

ზემოაღნიშნულ ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ა.მ.-ის საცხოვრებელ სახლში სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ჩხრეკისას, აღნიშნული პირი არ დაემორჩილა პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას, რის გამოც იგი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით იქნა დაკავებული.

ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ, 24 აგვისტოს, ა.მ. სამართალდამრღვევად სცნო და 11-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა.

სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტში გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვას და ტარებას გულისხმობს.

ასევე, გვსურს, გამოვეხმაუროთ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში გამართულ ბრიფინგს, რომელზეც პარტიის წარმომადგენელმა ისაუბრა ახალქალაქში, მათი თანაპარტიელის სახლში ჩატარებული ჩხრეკის შესახებ, რასაც ოჯახის მიმართ განხორციელებული ტერორი და პოლიტიკური დევნა უწოდა.

აღნიშნული განცხადება არ შეესაბამება სიმართლეს, გამოძიების დაწყება და პოლიციის მიერ ა.მ.-ის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკა ჩატარდა საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით. შესაბამისად, ვასაჯაროებთ ვიდეოს, რომელზეც ასახულია მოქალაქე ა.მ.-ის მიერ იარაღიდან სროლის ფაქტი, რის საფუძველზეც დაიწყო გამოძიება და ა.მ.-ს საცხოვრებელ სახლში სამართალდამცველების მიერ ჩატარდა ჩხრეკა.

პროკურატურამ „ფორმულას“ ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლისა და მუქარის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისა და მუქარის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. ამის შესახებ ინფორმაციას მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, პროკურატურა ბრალდებულისთვის, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 24 აგვისტოს, თბილისში, ბრალდებულმა ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტსა და ვიდეოოპერატორს, დანის დემონსტრირებით შეუშალა ხელი პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა ჟურნალისტს, ხოლო ვიდეოოპერატორს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ეთერში მისი ჩართვა მოსთხოვა. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ბრალდებული 25 აგვისტოს დააკავეს. მას ბრალი 154-ე

იწყება – საქართველო კალათბურთის ზეიმს მასპინძლობს

1-7 სექტემბერს, საქართველო ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ დონის შეჯიბრი გუნდურ პირველობებში, თანაც დიდებში, საქართველოში პირველად ტარდება და იმედია, ისეთ ხარისხსაც დავდებთ, შემდგომში დიდი ღონისძიებების ჩატარების გადაწყვეტილება მარტივად რომ მიიღონ. რაღა თქმა უნდა, ჩემპიონატში მონაწილეობს საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომელიც გასულ კვირას, კაპიტნისა და ლიდერის, თორნიკე შენგელიას გარეშე დარჩა. ნიდერლანდებთან შეხვედრაში, მეტოქესთან შეჯახების შემდეგ, თოკო პარკეტზე უხერხულად დაეცა და მხარი მოიტეხა. ჩვენი გუნდისთვის ეს უდიდესი დანაკლისია, მაგრამ ბიჭებმა მაინც ბოლომდე უნდა იბრძოლონ და იმის გათვალისწინებით, რომ შემდეგ ეტაპზე საუკეთესო ოთხეული გადის, ჯგუფიდან უნდა გავიდნენ.

სანამ ჩვენი ჯგუფის კალენდარსა და ბილეთების ფასებს გაგაცნობთ, გეტყვით, რომ გულშემატკივარი ფასებით უკმაყოფილოა. კალათბურთის ფედერაციამ ნათლად დაინახა, რომ ბილეთის ფასის გამო, ბოლო საშინაო შეხვედრა ნიდერლანდებთან, ჩვენმა ნაკრებმა ნახევრად ცარიელ დარბაზში ჩაატარა და სირცხვილი იქნება, იგივე, ევროპის ჩემპიონატის ოფიციალურ მატჩებშიც თუ მოხდება.

01.09 – ესპანეთი-ბულგარეთი (15:30 სთ.)
01.09 – თურქეთი-მონტენეგრო (18:15 სთ.)
01.09 – საქართველო-ბელგია (21:00 სთ.)
03.09 – მონტენეგრო-ბელგია (15:30 სთ.)
03.09 – ბულგარეთი-თურქეთი (18:15 სთ.)
03.09 – საქართველო-ესპანეთი (21:00 სთ.)
04.09 – ბულგარეთი-მონტენეგრო (15:30 სთ.)
04.09 – ესპანეთი-ბელგია (18:15 სთ.)
04.09 – საქართველო-თურქეთი (21:00 სთ.)
06.09 – ბელგია-თურქეთი (15:30 სთ.)
06.09 – მონტენეგრო-ესპანეთი (18:15 სთ.)
06.09 – საქართველო-ბულგარეთი (21:00 სთ.)
07.09 – თურქეთი-ესპანეთი (15:30 სთ.)
07.09 – ბულგარეთი-ბელგია (18:15 სთ.)
07.09 – საქართველო-მონტენეგრო (21:00 სთ.)

რაც შეეხება ბილეთის ფასს, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ საიტზე, სწორედ ეს ციფრებია მითითებული.

1-ლი იარუსი – ერთი თამაშის ფასი (დღის ბოლოს თამაში საქართველოს ნაკრების მონაწილეობით):
1. VIP 1 – 130-150 ლარი;
2. VIP 2 – 130-150 ლარი;
3. A კატეგორია – 110 ლარი.

მე-2 იარუსი – ერთი თამაშის ფასი (დღის ბოლოს თამაში საქართველოს ნაკრების მონაწილეობით):
1. A კატეგორია – 60 ლარი;
2. B კატეგორია – 50 ლარი;
3. C კატეგორია – 45 ლარი;
4. D კატეგორია – 40 ლარი;
5. E კატეგორია – 35 ლარი;
6. F კატეგორია – 20 ლარი.

1-ლი იარუსი – პირველი ორი თამაშის ფასი:
1. VIP 1 – 180-230 ლარი;
2. VIP 2 – 180-230 ლარი;
3. A კატეგორია – 160 ლარი.

მე-2 იარუსი – პირველი ორი თამაშის ფასი:
1. A კატეგორია – 100 ლარი;
2. B კატეგორია – 90 ლარი;
3. C კატეგორია – 80 ლარი;
4. D კატეგორია – 70 ლარი;
5. E კატეგორია – 60 ლარი;
6. F კატეგორია – 45 ლარი.

მე-2 იარუსი იყოფა A-F კატეგორიებად. ფასებიც მოედნის მხედველობიდან გამომდინარე ნაწილდება – 20; 35; 40; 45; 50 და 60 ლარი. მართალია, არის გარკვეული ადგილები, შედარებით შეზღუდული მხედველობით, თუმცა მთლიანობაში, „ევრობასკეტის“ სრულად შეგრძნებისთვის, თითოეული მათგანი საუკეთესოა.

რონალდუ კვარაცხელიასთან – ტრანსფერი რეალობას ემსგავსება

ხვიჩა კვარაცხელიამ იტალიის ჩემპიონატის მესამე ტურში გოლი ვერ გაიტანა და ამ ამბით არაერთმა ჩვენმა თანამემამულემ გაიხარა. გაგიკვრიდებათ და, ხვიჩას უგოლო თამაში ათასობით ვაი-გულშემატკივარს გაუხარდა და სპორტულ გვერდებზე იმდენი ნეგატიური კომენტარი წამოვიდა, ადმინისტრაცია იძულებული გახდა, განეცხადებინა, რომ უცენზურობის გამო, ასეულობით კომენტარს, უბრალოდ, ბლოკავდა. ბლოკავდა ზუსტად ისე, როგორც თორნიკე შენგელიას შემთხვევაში, როცა საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კაპიტანმა მხარი მოიტეხა, რის გამოც ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს და მას... მეორე მხრის მოტეხვასაც უსურვებდნენ. ვერ გეტყვით, რატომ არის ეს დამოკიდებულება წარმატებული სპორტსმენების მიმართ, მაგრამ აგრესიას, ძირითადად, ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერები გამოხატავენ.

ახლა, რაც შეეხება უშუალოდ კვარაცხელიას გუნდს. არავისთვის ახალი არაა, რომ კრიშტიანუ რონალდუს „მანჩესტერიდან“ წასვლა და ისეთ გუნდში გადასვლა სურს, რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე თამაშობს. პორტუგალიელის დამატებაზე ყველა კლუბმა უარი თქვა და მიზეზად მისი ასაკი და ჯამაგირი დასახელდა, თუმცა ისე ჩანს, გამოსავალი „ნაპოლიმ“ იპოვა. როგორც იტალიური მედია წერს, რონალდუ ნეაპოლურ კლუბში წავა, მისი ხელფასის ნახევარს „მანჩესტერი“ გადაიხდის, სანაცვლოდ კი, „ნაპოლის“ შემტევს, ოსიმენს მიიღებს და ეს გარიგება 100 მილიონი დაუჯდება. თუმცა, ოსიმენში ამ თანხას „მანიუ“ სამი წლის განმავლობაში გადაიხდის. სატრანსფერო სეზონი 1 სექტემბერს სრულდება და თუ გარიგება მართლაც შედგება, ხვიჩას მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის გვერდი მოუწევს ასპარეზობა, რაც უდიდეს გამოცდილებას შესძენს.

ჩემპიონთა ლიგა დალაგდა

მოგეხსენებათ, წელს, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი ზამთარში გაიმართება. ტურნირი ყატარში, 21 ნოემბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დროისთვის, ყველა შიდა საფეხვურთო ლიგა უბრალოდ გაჩერდება და თანაც, აუცილებელია, ჩემპიონთა ლიგაზე, ექვსივე ტურის ჩატრება მოესწროს. ამიტომ, კლუბებს ასპარეზობა ძალიან შემჭიდროვებული გრაფიკით მოუწევთ და ფეხბურთელების ფიზიკურ გამძლეობაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. პირველად ხდება, რომ მუნდიალს არაბული ქვეყანა მასპინძლობს და ასევე პირველადაა, მსოფლიო ფორუმი ზამთარში რომ იმართება.

გასულ კვირას, ჩემპიონთა ლიგის წილისყრა შედგა და ძალიან საინტერესო ჯგუფებიც მივიღეთ. ყველა ქართველს ის აინტერესებდა, ვინ შეხვდებოდა ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლს“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ნაპოლის“ ჯგუფში, წესით, ყველაზე თვალსასეირო მატჩები უნდა შედგეს. ტურნირი სტარტს 5 სექტემბერს აიღებს და გჯუფების განლაგება და კალენდარი ასე გამოიყურება:

A ჯგუფი:
„აიაქსი“ (ჰოლანდია);
„ლივერპული“ (ინგლისი);
„ნაპოლი“ (იტალია);
„რეინჯერსი“ (შოტლანდია).

B ჯგუფი:
„პორტუ“ (პორტუგალია);
„ატლეტიკო“ (ესპანეთი);
„ლევერკუზენი“ (გერმანია);
„ბრიუგე“ (ბელგია).

C ჯგუფი:
„ბაიერნი“ (გერმანია);
„ბარსელონა“(ესპანეთი);
„ინტერი“ (იტალია);
„პლზენი“ (ჩეხეთი).

D ჯგუფი:
„აინტრახტი“ (გერმანია);
„ტოტენჰემი“ (ინგლისი);
„სპორტინგი“(პორტუგალია);
„მარსელი“ (საფრანგეთი).

E ჯგუფი:
„მილანი“ (იტალია);
„ჩელსი“ (ინგლისი);
„ზალცბურგი“ (ავსტრია);
„დინამო“ (ზაგრები, ხორვატია).

F ჯგუფი:
„რეალი“(ესპანეთი);
„ლაიფციგი“ (გერმანია);
„შახტარი“ (უკრაინა;)
„სელტიკი“ (შოტლანდია).

G ჯგუფი:
„მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი);
„სევილია“(ესპანეთი);
„დორტმუნდი“ (გერმანია);
„კოპენჰაგენი“ (დანია).

H ჯგუფი:
„პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი);
„იუვენტუსი“ (იტალია);
„ბენფიკა“ (პორტუგალია);
„მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი).

მატჩების განრიგი (მითითებულია თბილისის დრო):

I ტური – 6 სექტემბერი
დინამო (ზ)-ჩელსი (20:45)
დორტმუნდი-კოპენჰაგენი (20:45)
ზალცბურგი-მილანი (23:00)
სელტიკი-რეალი (23:00)
ლაიფციგი-შახტარი (23:00)
სევილია-მანჩესტერ სიტი (23:00)
პარი სენ-ჟერმენი-იუვენტუსი (23:00)
ბენფიკა-მაკაბი (ჰ) (23:00)

7 სექტემბერი
აიაქსი-რეინჯერსი (20:45)
აინტრახტი-სპორტინგი (20:45)
ნაპოლი-ლივერპული (23:00)
ატლეტიკო-პორტუ (23:00)
ბრიუგე-ლევერკუზენი (23:00)
ბარსელონა-პლზენი (23:00)
ინტერი-ბაიერნი (23:00)
ტოტენჰემი-მარსელი (23:00)

II ტური – 13 სექტემბერი
პლზენი-ინტერი (20:45)
სპორტინგი-ტოტენჰემი (20:45)
ლივერპული-აიაქსი (23:00)
რეინჯერსი-ნაპოლი (23:00)
პორტუ-ბრიუგე (23:00)
ლევერკუზენი-ატლეტიკო (23:00)
ბაიერნი-ბარსელონა (23:00)
მარსელი-აინტრახტი (23:00)

14 სექტემბერი
მილანი-დინამო (ზ) (20:45)
შახტარი-სელტიკი (20:45)
ჩელსი-ზალცბურგი (23:00)
რეალი-ლაიფციგი (23:00)
მანჩესტერ სიტი-დორტმუნდი (23:00)
კოპენჰაგენი-სევილია (23:00)
იუვენტუსი-ბენფიკა (23:00)
მაკაბი (ჰ)-პარი სენ-ჟერმენი (23:00)

III ტური – 4 ოქტომბერი
ბაიერნი-პლზენი (20:45)
მარსელი-სპორტინგი (20:45)
ლივერპული-რეინჯერსი (23:00)
აიაქსი-ნაპოლი (23:00)
პორტუ-ლევერკუზენი (23:00)
ბრიუგე-ატლეტიკო (23:00)
ინტერი-ბარსელონა (23:00)
აინტრახტი-ტოტენჰემი (23:00)

5 ოქტომბერი
ზალცბურგი-დინამო (ზ) (20:45)
ლაიფციგი-სელტიკი (20:45)
ჩელსი-მილანი (23:00)
რეალი-შახტარი (23:00)
მანჩესტერ სიტი-კოპენჰაგენი (23:00)
სევილია-დორტმუნდი (23:00)
იუვენტუსი-მაკაბი (ჰ) (23:00)
ბენფიკა-პარი სენ-ჟერმენი (23:00)

IV ტური-11 ოქტომბერი
კოპენჰაგენი-მანჩესტერ სიტი (20:45)
მაკაბი (ჰ)-იუვენტუსი (20:45)
დინამო (ზ)-ზალცბურგი (23:00)
მილანი-ჩელსი (23:00)
შახტარი-რეალი (23:00)
სელტიკი-ლაიფციგი (23:00)
დორტმუნდი-სევილია (23:00)
პარი სენ-ჟერმენი-ბენფიკა (23:00)

12 ოქტომბერი
ნაპოლი-აიაქსი (20:45)
ატლეტიკო-ბრიუგე (20:45)
რეინჯერსი-ლივერპული (23:00)
ლევერკუზენი-პორტუ (23:00)
ბარსელონა-ინტერი (23:00)
პლზენი-ბაიერნი (23:00)
ტოტენჰემი-აინტრახტი (23:00)
სპორტინგი-მარსელი (23:00)

V ტური-25 ოქტომბერი
ზალცბურგი-ჩელსი (20:45)
სევილია-კოპენჰაგენი (20:45)
დინამო (ზ)-მილანი (23:00)
სელტიკი-შახტარი (23:00)
ლაიფციგი-რეალი (23:00)
დორტმუნდი-მანჩესტერ სიტი (23:00)
პარი სენ-ჟერმენი-მაკაბი (ჰ) (23:00)
ბენფიკა-იუვენტუსი (23:00)

26 ოქტომბერი
ბრიუგე-პორტუ (20:45)
ინტერი-პლზენი (20:45)
ნაპოლი-რეინჯერსი (23:00)
აიაქსი-ლივერპული (23:00)
ატლეტიკო-ლევერკუზენი (23:00)
ბარსელონა-ბაიერნი (23:00)
ტოტენჰემი-სპორტინგი (23:00)
აინტრახტი-მარსელი (23:00)

VI ტური-1 ნოემბერი
პორტუ-ატლეტიკო (21:45)
ლევერკუზენი-ბრიუგე (21:45)
ლივერპული-ნაპოლი (00:00)
რეინჯერსი-აიაქსი (00:00)
ბაიერნი-ინტერი (00:00)
პლზენი-ბარსელონა (00:00)
სპორტინგი-აინტრახტი (00:00)
მარსელი-ტოტენჰემი (00:00)

2 ნოემბერი
რეალი-სელტიკი (21:45)
შახტარი-ლაიფციგი (21:45)
ჩელსი-დინამო (ზ) (00:00)
მილანი-ზალცბურგი (00:00)
მანჩესტერ სიტი-სევილია (00:00)
კოპენჰაგენი-დორტმუნდი (00:00)
იუვენტუსი-პარი სენ-ჟერმენი (00:00)
მაკაბი (ჰ)-ბენფიკა (00:00).

რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის ფინალს, მას 2023 წლის 10 ივნისს, სტამბოლი უმასპინძლებს.

მსოფლიოს ჩემპიონატი გვამებზე

ზუსტად ასე მონათლა კრიტიკულმა მედიამ ყატარში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატი. არაბები გულშემატკივრების გაოცებას აპირებენ და უდიდესი საფეხბურთო ფორუმისთვის არა მარტო ინფრასტრუქტურა გააუმჯობესეს, არამედ, ახალი ქალაქიც ააშენეს თავისი სასტუმროებით, გზებით, აეროპორტებით... 2017 წლიდან დღემდე, ამ მშენებლობებს 6500-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა და დაღუპულები ხუთი ქვეყნის წარმომადგენლები არიან – ბანგლადეში, ნეპალი, ინდოეთი, პაკისტანი, შრი-ლანკა. სწორედ ეს მუშა-ხელი ჰყავდათ არაბებს დასაქმებული და მათი საშუალო ანაზღაურება, თვეში, 400 დოლარამდე იყო, რაც ძალიან ცოტაა. ამასთან, როგორც ადამიანთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები იტყობინებიან, მუშები ცხოვრობდნენ სპეციალურად აშენებულ ბარაკებში, სადაც ერთ ოთახში, 12 ადამიანი ბინადრობდა. მათთვის დასაბანი წყალი კვირაში ერთხელ იყო ხელმისაწვდომი, ხოლო სასმელი წყალი – ყოველ მეორე დღეს.

მუნდიალის დაწყების პარალელურად, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ჩივილს აპირებენ და აცხადებენ, რომ ამ ადამიანების სიცოცხლეზე პასუხს აუცილებლად მოითხოვენ. სტატისტიკურად, ციფრებში, გარდაცვლილთა რაოდენობა ასე გამოიყურება: ინდოეთი – 2711, ნეპალი – 1641, ბანგლადეში – 1018, პაკისტანი – 824, შრი-ლანკა – 557.

ბედნიერების ცრემლები

ინგა ლოლაძე

ვერცხლისწყალივით მოძრავი ბიჭია გიორგი, ანცი და მოუსვენარი. დღე არ გავა, კლასის დამრიგებელმა მკაცრი ტონით არ უთხრას, ხვალ მშობელს მოიყვან, გიორგი! მეორე დღეს მშობელი მოდის, გიორგისთან ერთად დგას და თავჩაღუნული ისმენს კლასის დამრიგებლის დაუსრულებელ მონოლოგს, მერე გიორგი პირობას დებს, ხვალიდან მაკას კიკინებს არ დავწიწკნი, უჩას ჩანთას ქვებით არ გავავსებ, კლასის ჟურნალს არ დავმალავ, ბურთს კლასში კი არა, სკოლის ეზოში, ან სპორტულ დარბაზში ვითამაშებ, გაკვეთილებზე წყნარად ვიჯდები, მასწავლებლების ნერვებზე აღარ ვითამაშებო, მაგრამ მეორე დღეს ისევ ისმის:

– გიორგი, კიკინებზე მექაჩება, მასწ.

– აუუუ, ჩანთაში ქვები კი არა, ლოდები ჩაუწყვია, მასწ.

– სადაა, გიორგი, კლასის ჟურნალი?

– ფანჯარას მოხვდება ბურთიიიი...

– ხვალ მშობელს მოიყვან, გიორგი!

ერთ დღესაც, გიორგისთან ერთად, მასწავლებლის გრძელი მონოლოგის მოსასმენად სკოლაში მამა მივიდა....

– მაკას კიკინების და უჩას ჩანთის გულისთვის მომიყვანე ამხელა კაცი სკოლაში? – საყვედურ-სიმკაცრე გაურია ხმაში სკოლის ეზოდან გამოსულმა მამამ.

გიორგი დუმს.

– ბურთის ხამი ხარ, შვილო?

გიორგი ისევ დუმს.

– იცოდე, მაგ დაუნების გულისთვის მეორედ სკოლაში რომ დამიბარონ, ქამრით აგიჭრელებ გვერდებს!

* * *

ტელევიზორის წინ, სავარძელში მოკალათებული გიორგის მამა უკმაყოფილო სახით უყურებს მორიგ საინფორმაციო გამოშვებას.

– ამ დაუნების ხელში რომაა ჩავარდნილი ქვეყანა, იმიტომაც ვართ კარგ დღეში...

* * *

– ორჯერ-ორი ოთხია, სამჯერ-სამი – ცხრა, ოთხჯერ-ოთხი რამდენი იქნება გიორგი?

-...რამდენი, მამა, და...

– შვილო, შენ დაუნი ხომ არ ხარ?

* * *

– მასწ, გიორგი თმას მაწიწკნის, – შუა გაკვეთილზე ლამის ტირილით წამოხტა მაკა.

– ეეე, ეს გოგო დაუნია, რა გატირებს, დაჯექი, რااა, – არ დააყოვნა პასუხი გიორგიმ...

* * *

– ბავშვებო, გიორგის პატარა დაიკო ჰყავს, – ღიმილით გამოაცხადა კლასში შესულმა მასწავლებელმა.

* * *

სამზარეულოდან მამის ხმა ისმის:

– დაუნი როგორ უნდა გავზარდო, რა ვუთხრა ხალხს?! სირცხვილით ქუჩაში ვერ გავსულვარ! რატომ არ დაუჯერე ექიმს, რატომ არ დატოვე, რატომ?

დედის ჩუმი, ტირილნარევი მტკიცე ხმა:

– როგორიც უნდა იყოს, ჩემი შვილია. შვილი დედამ უნდა გაზარდოს. ჩემი შვილია! გესმის?

* * *

ორ კვირაზე მეტია გიორგი სკოლაში არ გამოჩენილა.

* * *

– გიორგი, მოდი დედიკო, ნახე რა ლამაზი დაიკო გყავს!...

ცრემლი ძლივს გადაყლაპა გიორგიმ:

– ლამაზი?.. დაუნი რომაა?

* * *

საძინებლიდან დის ტირილი მოესმა.

– დეეე, ტირის!

დედა აბაზანაშია...

– ტირის, დეეეეე.....

ტირილი უფრო გაძლიერდა.

საძინებლის კარი ფრთხილად გააღო, ფეხაკრეფით მიუახლოვდა საწოლს. პაწაწუნა ხელებს უსუსურად აქნევდა და გულამომჯდარი ტიროდა. ცოტა ხანს ჩუმად უყურა დაკვირვებით, მერე, ხელში აიყვანა.

პატარა გაჩუმდა... ცეროდენა თითები გიოს ლოყაზე მოუთათუნა და გაიღიმა. ბიჭმა გულში ჩაიხუტა:

– რა ლამაზი ყოფილხარ... ჩუუ, პატარა, ჩუუუ... ხოო, გიორგი ვარ, შენი ძამიკო, მიცანი?

საძინებლის კარში დედა იდგა და ჩუმად ტიროდა...

ეს ბედნიერების ცრემლები იყო...

* * *

– ეეეეე, გიო, მოქაჩე, რა. რამდენი ხანია, მაგ დაუნის კიკინები არავის გაუწეწია, – თაზომ გიორგის მუჯლუგუნი უთავაზა.

– დაფასთან მინდა გამოსვლა, მასწ, შეიძლება? – უპასუხოდ დატოვა თაზოს მუჯლუგუნი გიომ.

– გამოდი...

– შინ პატარა თეკლა მელოდება, ჩემი დაიკო, – ბიჭმა ჯერ მასწავლებელს შეხედა გაბრწყინებული თვალებით, მერე თანაკლასელებს მოავლო მზერა, – ჩემი დაიკო დაუნის სინდრომით დაიბადა და ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს...

ბაქტერია საწვავს გამოიმუშავებს



სწავლულების ჯგუფმა აშშ-სა და დანიის უნივერსიტეტებიდან, აღმოაჩინა ბაქტერია Streptomyce, რომელიც ფერმენტაციის შედეგად ავიასაწვავს გამოიმუშავებს. ბაქტერიის მეტაბოლიზმის ბუნებრივი პროცესის შედეგად, გლუკოზის ან ამინომჟავების დაშლისას, ის გამოიმუშავებს მოლეკულას – Jawsamycin (ციკლოპროპანი). ჩატარებული ანალიზების მიხედვით, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ამ მოლეკულის გარდაქმნა შეიძლება გამოყენებულ იყოს თვითმფრინავების საწვავად. გარდაქმნას ფერმენტი – პოლიკეტიდსინთაზა ახდენს. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ამ მეთოდით მიღებული საწვავი ბიოდიზელის მსგავსი იქნება, თუმცა, აალების ტემპერატურის დასაქვეითებლად, მისი დამუშავება იქნება საჭირო. სპეციალისტების თქმით, შესაძლოა, ეს აღმოჩენა კოსმოსურ და საავიაციო სფეროში დაინერგოს.

მოგებული თანხა უნიტაზში ჩარეცხა

გერმანელმა ქალმა, 63 წლის ანგელა მეიერსმა, ლატარიაში 389 945.45 ევრო მოიგო, თუმცა მიღებული ფულის კუპიურები დახია და უნიტაზში ჩაუშვა. ახლა მაიერსი სასამართლოს წინაშე წარსდგება. არადა, ეს 390 ათასი ევრო ქალბატონი ანგელასთვის სულაც არ იყო ზედმეტი. აიღო თუ არა ფული, ზეიმი მოიწყო და 5 ბოთლი შამპანური მიირთვა. თუმცა, სასიამოვნო თრობის მომენტი მიღებულმა წერილმა ჩაუშხამა – მოხუცებულთა თავშესაფრიდან, სადაც მაიერსის მეუღლე ცხოვრობს, ანგელას მოგება მიულოცეს და იმედი გამოთქვეს, რომ ახლა შეძლებდა დაუყოვნებლივ დაეფარა დაწესებულების ვალი. ჩეკზე მითითებულმა თანხამ ქალბატონი ისე გააბრაზა, რომ 500-ევროიანი კუპიურები სულ ნაკუწებად აქცია და უნიტაზში ჩარეცხა. მისი თქმით, ეს იმიტომ გააკეთა, რომ მისი მოგებული თანხა არც მოხუცებულთა სახლს და არც სხვა არავის წაეღო. საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ ქალმა იმაზე მეტი ფული დახია, ვიდრე მოიგო. ამჟამად, მეიერსის სასამართლო მოსმენები მიმდინარეობს. თემიდა ქალის მონაყოლს მეტად სკეპტიკურად შეხვდა. შესაძლოა, მან ეს ყველაფერი მოიგონა, რათა ვალის დაბრუნება აღარ დააძალონ.

სასწრაფომ პაციენტი უკან დააბრუნა

ამომავალი მზის ქვეყანაში, ქალაქ ამაგასაკიში, სასწრაფო დახმარების ბრიგადამ დაშავებული მოტოციკლისტი ავარიის ადგილზე დააბრუნა. მიზეზი ის იყო, რომ საავადმყოფომ უარი თქვა მის მიღებაზე, რადგან პაციენტს კორონავირუსზე დადებითი ტესტი აღმოაჩნდა. 21 წლის მოტოციკლისტი მანქანას დაეჯახა და როდესაც შემთხვევის ადგილზე სასწრაფო მივიდა, ის ფეხის ტრავმას, ასევე, ციებას უჩიოდა. კლინიკა მის მიღებაზე თანხმობას იმ შემთხვევაში განაცხადებდა, თუ მას კორონავირუსი არ აღმოაჩნდებოდა. საავადმყოფომდე გზაში, ახალგაზრდას ტესტი გაუკეთეს და ის დადებითი აღმოჩნდა, რის გამოც კლინიკაში არ მიიღეს. მედიკოსების თქმით, მოტოციკლისტის მდგომარეობა სტაბილური იყო, ამიტომ მისივე თანხმობით, დაშავებული უკან, ავარიის ადგილზე დააბრუნეს.

ჰიგიენური საფენები უფასო გახდა



შოტლანდია პირველი ქვეყანა გახდა მსოფლიოში, რომელმაც ეს ნაბიჯი გადადგა, რეალური მიზეზი კი ამ სფეროში სიღარიბის აღმოფხვრაა. კანონპროექტი მაისში დაამტკიცეს და ის ახლა შევიდა ძალაში. კანონის მიხედვით, ტამპონებისა და ჰიგიენური საფენების უფასოდ მიღება შესაძლებელია ზოგიერთ საზოგადოებრივ ცენტრში, ახალგაზრდულ კლუბებსა და აფთიაქებში. შოტლანდიის ყოველი ადგილობრივი საბჭო თავად გადაწყვეტს, რა ღონისძიება გაატაროს, თუმცა მათ აქვთ მოვალეობა, ვისაც ჰიგიენის ეს საგნები სჭირდება, უფასოდ მიაწოდოს. 2018 წელსაც, შოტლანდია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც სკოლები, კოლეჯები და უნივერსიტეტები უზრუნველჰყო უფასო სანიტარულ-ჰიგიენური ნივთებით. 2017 წლის გამოკითხვების მიხედვით, დიდ ბრიტანეტში, გოგონების 10%-ს არ აქვთ საშუალება, შეიძინონ ჰიგიენის საგნები, რის გამოც მეცადინეობებს აცდენენ.

ყურსასმენების დასაბრუნებლად მსოფლიო შემოიარა

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა, ლუის ელისმა 6400 კილომეტრი გადალახა და 2400 დოლარი დახარჯა იმ ადამიანის საპოვნელად, ვინც მისი AirPods-ი აიღო. ინგლისელს ყურსასმენები თვითმფრინავში დარჩა, როცა ტაილანდში, ბანგკოკში ჩაფრინდა. მის ასაღებად ბორტზე დაბრუნება სურდა, მაგრამ არ აუშვეს და განუცხადეს, რომ მოგვიანებით აეროპორტში შეძლებდა საკუთარი ნივთის მიღებას. თუმცა, დაკარგული ყურსასმენი ლუისს არავინ დაუბრუნა. ამის გამო, ბრიტანელმა გადაწყვიტა, AirPods-ის ადგილმდებარეობა სპეციალური პროგრამის მეშვეობით განესაზღვრა. მისი თქმით, მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში, ის აკვირდებოდა, როგორ მოგზაურობდა მისი ყურსასმენი მსოფლიოში იმ ადამიანთან ერთად, ვინც ის აიღო.

„ვხედავდი, როგორც გადაფრინდა ყატარიდან კატმანდუში და იმყოფებოდა ჰიმალაის ერთ-ერთ სოფელში“, – იხსენებს ლუისი. როცა ყურსასმენები კვლავ ყატარში აღმოჩნდა, ბრიტანელმა გადაწყვიტა, რომ დროა, დაებრუნებინა. იყიდა ბილეთი დოჰამდე და 6400 კილომეტრი იფრინა იქ ჩასასვლელად. რამდენიმედღიანი ძიების შემდეგ, ის საკუთარ ნივთთან მაქსიმალურად ახლოს აღმოჩნდა. ლუისის თქმით, ყურსასმენები უპრობლემოდ დაუბრუნეს. ის არ გაბრაზებულა, პირიქით, მოხარულია, რომ შეძლო საკუთრების დაბრუნება.

ჩინეთში აბორტი აკრძალეს

ჩინეთის ჯანდაცვის ეროვნულმა კომისიამ აბორტების ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ განაცხადა. ამ გზით, ქვეყანაში შობადობის მკვეთრი შემცირების შეჩერებას ცდილობენ. აქტივისტები და უფლებადამცველები აცხადებენ, რომ ეს შეზღუდვა მილიონობით ქალს მიაყენებს ზიანს. ამჟამად, შობადობის მაჩვენებელი ჩინეთში რეკორდულად დაბალ დონეზეა. მოსახლეობა ბერდება და მთავრობა ცდილობს, გადამწყვეტი ზომები მიიღოს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ახალი შეზღუდვებით, ორსულობის შეწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ სამედიცინო ჩვენებების გამო. გარდა ამისა, მთავრობა სოციალურ დახმარებას გაუწევს დედებს და უნაყოფობის მკურნალობას უფრო ხელმისაწვდომს გახდის.

მასკი ჰაკერებს ჯილდოს დაპირდა

კომპანია SpaceX ჰაკერებს ფულის გადახდას დაპირდა, თუკი ისინი თანამგზავრული ინტერნეტის – Starlink-ის სისტემაში შეღწევას შეძლებენ. როგორც Business Insider-ი წერს, სპეციალისტები, რომლებიც სისტემაში შეცდომებსა და ლაფსუსებს აღმოჩენენ, 25 ათას დოლარამდე მიიღებენ. კომპანიამ ამგვარად უპასუხა უსაფრთხოების მკვლევარს, ლენერტ ვოუტერსს, რომელმაც განაცხადა, რომ 25-დოლარიანი თვითნაკეთი მოწყობილობით გატეხა სისტემა. მასკის კომპანიაში ირწმუნებიან, რომ მათი ინჟინრები მუდმივად ცდილობენ Starlink-ის სისტემაში შეღწევას, რათა უფრო უსაფრთხო გახადონ ის.

თმის ზრდის აღმდგენი მოლეკულა აღმოაჩინეს

სწავლულებმა კალიფორნიის უნივერსიტეტიდან, სასიგნალო მოლეკულას მიაგნეს, რომელიც თმის ზრდაზეა პასუხისმგებელი და ხელს უწყობს თმის საფარის აღდგენას ცვენის ან ალოპეციის დროს. მკვლევარების მიზანს იმ ზუსტი მექანიზმის გამოვლენა წარმოადგენდა, რომლის საშუალებითაც, დერმის დვრილების უჯრედები ხელს უწყობენ ახალი ფოლიკულის ზრდას. აღმოჩნდა, რომ სასიგნალო მოლეკულა SCUBE3, რომელსაც დვრილის უჯრედები გამოიმუშავებს, იმპულსია თმის ახალი უჯრედების გამოსაყოფად. მკვლევარების აზრით, ამ მოლეკულის სტიმულაციით შესაძლებელი იქნება თმის ჭარბი ზრდის ფორმირება და მკურნალობის ახალი სქემების შემუშავება ამ სფეროში არსებული პრობლემების მქონე პაციენტებისთვის.

პერაპარატი ობობას შხამისგან

სწავლულებმა „მწვანე კონტინენტიდან“, ობობას შხამზე დაფუძნებული პრეპარატი შექმნეს, რომელსაც მიოკარდის ინფარქტის მქონე პაციენტების გადარჩენა შეუძლია. გულის შეტევის შემდეგ, გულში სისხლის ნაკადის შემცირება ხდება, რაც ჟანგბადის უკმარისობას იწვევს. ჟანგბადის უკმარისობა უჯრედულ გარემოს მჟავედ აქცევს და მოლეკულურ დონეზე სხეული უგზავნის გულის უჯრედებს „სიკვდილის სიგნალს“. ათწლეულების განმავლობაში, მეცნიერები ცდილობდნენ ისეთი პრეპარატის შექმნას, რომელიც ამ სიგნალის გაგზავნას შეაჩერებდა, თუმცა უშედეგოდ. ამჯერად, ქვინსლენდისა და ახალი სამხრეთ უელსის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ Fraser Island Funnel-ის ჯიშის ობობას შხამში არსებული ცილა – Hola, გულში მჟავაზე მგრძნობიარე იონურ არხებს ბლოკავს, რაც ხელს უშლის „სიკვდილის სიგნალის“ გადაცემას. შედეგად, პაციენტების გადარჩენის მაჩვენებელი იზრდება. გარდა ამისა, სპეციალისტების აზრით, ამ ცილის საფუძველზე შექმნილ პრეპარატს შეუძლია მნიშვნელოვნად გაახანგრძლივოს დონორული გულის სიცოცხლისუნარიანობა.

ახალი პრეპარატი კოვიდის სამკურნალოდ

მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ონკოლოგიური დაავადების დროს გამოყენებულ პრეპარატს შეუძლია კოვიდის გამომწვევზე და სხვა ვირუსებზეც ზემოქმედება. კორონავირუსული ინფექციის თერაპიის არსებული მეთოდები სრულყოფილებისგან ჯერ კიდევ შორსაა, ამიტომ მეცნიერები მთელი მსოფლიოდან, მკურნალობის ახალ გზებს ეძებენ. ერთ-ერთი ასეთი ვარიანტი შეიძლება აღმოჩნდეს სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატი – აპრატოქსინი S4, რომელიც მოქმედებს ადამიანის ცილებზე და ხელს უშლის გრიპის ვირუსების რეპლიკაციას. მაიმუნებზე ჩატარებული ექსპერიმენტებისას, სწავლულბმა გამოავლინეს, რომ აპრატოქსინი უფრო ეფექტურად ამცირებს დასნებოვნებული უჯრედების რაოდენობას, ვიდრე არსებული ანტივირუსული საშუალებები.

ისეირნეთ და იყავით ჯანმრთელნი

15-წუთიანი გასეირნება ადამიანებს სიცოცხლეს უხანგრძლივებს, – ამტკიცებენ ტაივანელი სწავლულები. მათი აზრით, ორგანიზმი რომ ტონუსში იყოს, სულაც არ არის აუცილებელი, თავი ყოველდღიური 5-კილომეტრიანი გარბენებით დაიტანჯოთ, ან დრო საათობით აუზში გაატაროთ. ტაივანის ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ადამიანები, რომლებიც დღეში, სულ რაღაც, მეოთხედ საათს უთმობენ ზომიერ ფიზიკურ დატვირთვას, უფრო დიდხანს ცოცხლობენ. სტატისტიკამ აჩვენა, რომ სიმსივნით გარდაცვალების ბევრ შემთხვევაში, ლეტალური დასასრულის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, თუკი ადამიანები, ელემენტარულად, მეტს იმოძრავებდნენ. სწავლულებმა დაასკვნეს: დღეში, სწორედ 15-წუთიან დატვირთვას შესამჩნევი სარგებელი მოაქვს ჯანმრთელობისთვის. ზომიერ დატვირთვაში კი სწრაფი ნაბიჯებით ბანალური გასეირნება იგულისხმება.

ლუდი ზეთისხილისგან მოხარშეს

ესპანელმა აგრონომმა, ივან კაელესმა კატალონიიდან, რომელიც ზეითუნის ზეთის მწარმოებელია, ზეთისხილის ლუდი წარადგინა, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება. ეს უნიკალური ქაფიანი სასმელი, სახელწოდებით – Oliba Green Beer, შეიცავს შვიდი სახეობის Pallars Jussa – ზეთისხილს. ის სასმელს პიკანტურ სიმწარეს, განუმეორებელ არომატსა და მადისაღმძვრელ, მომწვანე შეფერილობას აძლევს. ლუდი ჩეხური „პილზნერის“ სტილშია მოხარშული, აქვს 5%-იანი სიმაგრე და გამაგრილებელი გემო. ჯერჯერობით, ამ ექსკლუზიური სასმელის შეძენა კატალონიის მხოლოდ ექვს სავაჭრო წერტილშია შესაძლებელი. ერთი ბოთლი ზეთისხილის ლუდის ფასი 3.45 ევროა.

ყველი თუ კბილის პასტა?

ყველს შეუძლია კარიესის წარმოქმნა აღკეთოს და კბილის ნადების წარმოქმნის სიჩქარე შეანელოს, რადგან ის ანეიტრალებს მჟავებს პირის ღრუში, – ნათქვამია ახალ გამოკვლევაში. სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ რძემჟავა პროდუქტი ხელს უწყობს მჟავიანობის დაქვეითებას და პირში ტუტე გარემოს წარმოქმნას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს სტომატოლოგთან ვიზიტების რაოდენობას. გარდა ამისა, მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ კბილების გარშემო, ყველი ქმნის დამცავ ფენას. რაც უფრო მაღალია pH (უფრო ტუტე) კბილების ზედაპირზე, მით უკეთაა დაცული კბილები კარიესის წარმოქმნისგან.

გამოკვლევაში, რომელიც ამერიკელმა სწავლულებმა ჩაატარეს, 12-დან 15 წლამდე ასაკის 68 მოზარდი მონაწილეობდა. ისინი სამ ჯგუფად დაყვეს: ერთ მათგანს ყოველდღიურად ყველი „ჩედერის“ პორციებს აძლევდნენ, მეორეს – უშაქრო იოგურტს, მესამე ჯგუფის წევრებს – ჭიქა რძეს. კვლევის დასრულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ იმ ბავშვებში, რომლებიც იოგურტს მიირთმევდნენ ან რძეს სვამდნენ, pH თანაბარ დონეზე რჩებოდა საჭმელის მიღებამდე და მის შემდეგაც. ისინი, რომლებიც ყველს მიირთმევდნენ, აღენიშნებოდათ pH-ის დონის „სწრაფი“ ზრდა, კბილის ემალის ყოველი შემდგომი გასინჯვისას. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ყველი პირის რღუში ზრდის ნერწყვის რაოდენობას, რაც ბუნებრივად ხელს უწყობს ორგანიზმში pH-ის ჯანმრთელ დონეს, თანაც ყველში ქიმიური ნაერთებია, რომლებსაც კბილზე დამცავი ფენის წარმოქმნა შეუძლითა. ეს დამატებით იცავს კბილებს ემალს დამშლელი მჟავებისგან.

„ოქროს“ ლიპოსაქცია გახდომის მსურველებისთვის

ლიპოსაქციის პრინციპულად ახალი მეთოდიკა შეიმუშავეს კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა – მას ოქროს ნანონაწილაკების გამოყენებით ატარებენ და ამ პროცედურას NanoLipo უწოდეს. უფრო ადრე, მედიკოსებმა ჩაატარეს კვლევა, რომლის დროსაც ოქროს ნანონაწილაკებს სიმსივნის შიგნით ათავსებდნენ, შემდეგ კი მას ინფრაწითელი გამოსხივებით აცხელებდნენ. შედეგად, კიბოს უჯრედები ეფექტურად იშლებოდა, ჯანმრთელი კი დაუზიანებელი რჩებოდა. ახლა, ზუსტად მსგავს პროცედურას სწავლულები ცხიმოვან ქსოვილთან დაკავშირებითაც გვთავაზობენ. ახალი მეთოდიკით, ნანონაწილაკები შეჰყავთ ცხიმდაგროვების ზონაში, შემდეგ კი პაციენტის სხეულის ეს ნაწილი ინფრაწითელი შუქით ცხელდება, რადგან ცხიმი შედარებით დაბალ ტემპერატურაზე დნება. ქსოვილების სხვა უჯრედები ვერ ასწრებენ დაზიანების მიღებას. შემდეგ სპეციალისატები, ლიპოსაქციის ნემსის მეშვეობით, ამოქაჩავენ გამდნარ ცხიმს. ექიმები ამტკიცებენ, რომ ლიპოსაქციის ასეთი მეთოდი გაცილებით უსაფრთხოა ორგანიზმისთვის. ტრადიცული პროცედურებისას, სპეციალისტს ნემსი მკვრივ ცხიმში შეჰყავს და მისი ამოტუმბვა აზიანებს გვერდით არსებულ ქსოვილებსაც. ჯერჯერობით, ახალ ტექნოლოგიას სწავლულები აქტიურად სცდიან ცხოველებზე, მაგრამ როგორც ვარაუდობენ, უკვე წლის ბოლოს, კლინიკურ ცდებსაც ჩაატარებენ.

დუბაიში „ოქროს ნაყინს“ ჰყიდიან

არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, დუბაიში მდებარე კაფეში – Scoopi Caf მსურველებს შეუძლიათ, დააგემოვნონ ყველაზე ძვირიანი ნაყინი ოქროთი, რომელსაც „შავი ბრილიანტი“ უწოდეს. მისი ღირებულება 3 ათასი დირჰამია (817 დოლარი). კაფეს შეფ-მზარეული ნაყინს ამზადებს მადაგასკარის ვანილით, ირანული ზაფრანითა და იტალიური შავი ტრიუფელით, ხოლო ზემოდან, ოქროს 23-კარატიან, საკვებად ვარგის ბურბუშელას აყრის. კლიენტთან ცივი დესერტი „ვერსაჩეს“ ფაიფურის დახვეწილი ფიალითა და ვერცხლის კოვზით მიაქვთ. სურვილის შემთხვევაში, მომხმარებელს მათი თან წაღება შეუძლია.

ძველ მაცივარში ქონება იპოვა

სამხრეთ კორეაში მცხოვრებმა მამაკაცმა 95 ათასი დოლარი იპოვა მეორად მაცივარში, რომელიც ინტერნეტ-მაღაზიაში შეიძინა. ახალი შენაძენის მოწესრიგება-დასუფთავების დროს, მან 2200 კუპიურა იპოვა, რაც ჯამში, 110 მილიონი ვონი, ანუ დაახლოებით, 95 ათასი ამერიკული დოლარი აღმოჩნდა. ამ აღმოჩენის შემდეგ, მამაკაცმა პოლიციას მიმართა. ამჟამად, სამართალდამცავი ორგანოები მაცივრის წინა მფლობელის დადგენას ცდილობენ. თუკი ექვსი თვის განმავლობაში, ძველი პატრონი არ გამოჩნდება, თანხას მისი მპოვნელი წაიღებს. თუმცა, ამ შემთხვევაში, მას ნაპოვნი თანხის 22%-ის სახელმწიფოსთვის გადახდა მოუწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მპოვნელს მთელი თანხა ჩამოერთმევა.

ელექტრომობილი ხანდაზმულებისთვის

იაპონურმა კონცერნმა Toyota-მ ახალი ელექტრომობილი შექმნა, რომელიც სპეციალურად ასაკოვან ადამიანებზეა გათვლილი. მანქანა ორადგილიანია და მას საათში მხოლოდ 60 კილომეტრი სიჩქარის განვითარება შეუძლია. ელექტრომობილის სრული დამუხტვისას, ის მხოლოდ 100 კილომეტრს გაივლის. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, მანქანა მეტად კომფორტული, მოსახერხებელი და ამავდროულად, ეკონომიურიცაა, რაც მოხუცებს მის მოხმარებას გაუადვილებს. ახალი მოდელის ელექტრომობილის შეძენა ხანდაზმულ ადამიანებს უკვე წლის ბოლოდან შეეძლებათ.

ვისთვისაა სასარგებლო პიტნის ჩაი?

ცნობილია, რომ პიტნით მომზადებულ ჩაის შეუძლია ტვინის მოქმედება გააქტიუროს. ამ მცენარის სურნელოვანი სასმელი თითქმის არავისთვისაა აკრძალული, თუმცა პატარებს ზედმეტად კონცენტრირებული ნაყენი არ უნდა მივცეთ, მასში მენთოლის მაღალი შემცველობის გამო. ოფიციალურ და ხალხურ მედიცინაშიც პიტნას ფართოდ გამოიყენებენ. მისი ნაყენი შეგვიძლია მივიღოთ: მხედველობის პრობლემების გაჩენისას; ასევე, როგორც დამამშვიდებელი საშუალება; ტემპერატურის დასაკლებად; კუჭ-ნაწლავის დაავადებებისას; როგორც აფროდიზიაკი. პიტნის სასარგებლო თვისებებზე ადრეც ბევრი დაწერილა. მის ეთერზეთში დიდი რადენობით მენთოლია, რომელიც ანტისეპტიკურ, გამაყუჩებელ, ოფლმდენ საშუალებას წარმოადგენს. პიტნის სასმელი საშუალებას იძლევა, მოვიხსნათ დაძაბულობა, მომატებული მეტეომგრძნობელობა, ავამაღლოთ ორგანიზმის წინააღმდეგობის ხარისხი. ცნობილია, რომ ძველ რომში, პიტნის წყალს აპკურებდნენ ხოლმე შენობებს, საკმაოდ ხშირად, იმავე პერიოდში, სადილის წინ, მაგიდებს ახალი პიტნით წმენდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მისი არომატი სასიხარულო განწყობას ქმნიდა. შუა საუკუნეებში, სტუდენტები ხშირად ატარებდნენ პიტნისგან დაწნულ გვირგვინებს, რადგან არსებობდა მოსაზრება, რომ ამ მცენარის სურნელი ტვინის მუშაობას ააქტიურებდა.

გენმოდიფიცირებული კარტოფილი უფრო სასარგებლოა?

მინესოტას უნივრსიტეტისა და ფრანგული კომპანია Cellectis-ის სწავლულებმა მცენარეების გენების რედაქტირების ახალი ტექნოლოგია მოიფიქრეს. ახლა ისინი შექმნიან და ბაზარზე გამოუშვებენ კარტოფილის ახალ ჯიშს – Ranger Russet, რომელიც არ შავდება და არ ლპება ყინვაში შენახვის დროს. რაც მთავარია, შეწვისას, ნაკლებ კანცეროგენულ აკრილამიდს გამოჰყოფს. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სულ მალე, მოდიფიცირებული კვების პროდუქტების შექმნა არა მხოლოდ მსხვილი სამეცნიერი ინსტიტუტების საქმე იქნება, არამედ, ამით პატარა კერძო კომპანიებიც დაკავდებიან. რასაკვირველია, მათი ნამუშევარი აუცილებლად სერტიფიცირებული იქნება და უსაფრთხოებაზეც შემოწმდება. სხვა შემთხვევაში, მათ მიერ გამოყვანილი ხილი და ბოსტნეული ბაზარზე ვერ მოხვდება.

აქამდე, მეცნიერები წლობით მუშაობდნენ, რათა ტრადიციული სელექციის მეთოდით, სასურველი თვისებების მქონე მცენარე გამოეყვანათ. მაგალითად, ასეთი კარტოფილისთვის, რომელიც ამერიკელმა გენეტიკოსებმა შექმნეს, სელექციონრებს 10 წელიწადზე ნაკლები არ დასჭირდებოდათ. არადა, ახალი კარტოფილის საცდელი პარტიის პირველ მოსავალს უკვე წლის ბოლოს აიღებენ მინესოტაში. თუკი ექსპერიმენტების შედეგად დამტკიცდება, რომ პროდუქტი ინარჩუნებს თვისებებს სიცივეშიც, Ranger Russet-ის ფერმერებისთვის მიწოდებას დაიწყებენ.

ფეხსაცმელი ბრილიანტებით – მამაკაცებისთვის

ბრილიანტები საუკეთესო მეგობარი არა მხოლოდ სუსტი სქესისთვის, არამედ, მამაკაცებისთვისაც ყოფილა. ჩანს, ამ დევიზით იხელმძღვანელა Dom Borghese-ის დიზაინერმა კრისტოფერ შელისმა, როცა ძლიერი სქესისთვის, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ფეხსაცმელი შექმნა. ღვინისფერი ტყავის ფეხსაცმელი, ბრილიანტებითა და ოქროთია გაფორმებული და 100 ათასი გირვანქა სტერლინგი ღირს. დიზაინერის თქმით, ამ ფეხსაცმლის შექმნაზე, სამი წლის განმავლობაში მუშაობდა, შთაგონების წყარო კი დედოფალ ელისაბედ პირველის მდიდრული სტილი ყოფილა. აღსანიშნავია, რომ მოდის ამ სახლმა, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული, პლატინის ქამარიც შექმნა, რომლის ღირებულებაც 60 ათას გირვანქას აღწევს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.